პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

კვირა 15 აგვისტო 1937 წ. № 185 (4986)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:
— სახალხო ჯანმრთელობა (მოწინავე)
— ამხ. ჩკალოვის დეპეშა ამხანაგ სტალინს
— რადიოგრამები თვითმფრინავ „ნ—209-დან"
— მოსკოვ - ჩრდილოეთ ამერიკის მარშრუტით გადაფრენების მომწყობი მთავრობის კომისიისაგან
— წმინდა მოვალეობა („პრავდის" მოწინავე)
— შ. დონაძე — კომკავშირის საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის შედეგები (ფელეტონი)
— მარიკა ბარათაშვილი — სამშობლო ჩემო (ლექსი)
— ციცუნია ტეხურის ფალავია (პატარა ფელეტონი)
უცხოეთში:
— საბჭოთა გენერალურ საკონსულოზე თავდასხმა ტიანძინში
— სარჯ. დეპეშათა სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის განცხადება
— ბრძოლები შანხაის ჩრდილო რაიონში
— ესპანეთის ფრონტებზე
— მღელვარება მეამბოხეთა ჯარებში

## სახალხო ჯანმრთელობა

გაუგონარი სისწრაფით ვითარდება სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი, მრავლდება ექიმების რიცხვი, ყოველი წლობით მატულობს ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებული თანხები.

ყველაზე ძვირფასი კაპიტალის — ადამიანის — ჯანმრთელობის დაცვისათვის, მისი კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობისათვის, სამური და ბედნიერი ცხოვრებისათვის სოციალისტური ქვეყნის მთავრობა ყველაფერს აკეთებს.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ყურადღებისა, ამ უბანზე ჯერჯერობით მაინც არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ქსელს, მის ხელმძღვანელ ორგანოებს მრავალი არსებითი ნაკლოვანება ახლავს, რაც, მედიცინის მუშაკთა ნაწილის ცუდ მუშაობასთან ერთად, იმასაც მიეწერება, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში აქა-იქ შეძვრნენ ხალხის საზიზღარი მტრები, ფაშისტთა არამზადა ნაბოლარები.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საკმაო ხანს ედგა სათავეში გაიძვერა, ხალხის მტერი გ. მამალაძე, რომელმაც, ჯანსახკომის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დოყლაპიობისა და სიფხიზლის მოდუნების შედეგად, ცოტა ზიანი როდი მიაყენა სახალხო ჯანმრთელობის დაცვას.

ამ საზიზღარ ადამიანს ჭირივით სძულდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, ახშობდა ინიციატივას, ცდილობდა თვალი აეხვია ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და დიდი ხნის განმავლობაში ახერხებდა ჯანმრთელობის დაცვის ქსელში არსებულ ნაკლოვანებათა მიჩქმალვას.

მთავარი დარგი, სადაც გარეწარი მამალაძე თავის ბილწ თათებს აფათურებდა, იყო საავადმყოფოების, საბავშვო ბაგებისა და სამშობიარო სახლების მშენებლობა. საგეგმო კომისიაში მოკალათებულ არამზადათა —მ. ტოროშელიძის, ს. გოდაბრელიძისა და შ. მათიკაშვილის დახმარებით იგი ადგენდა სამკურნალო დაწესებულებათა ბუტაფორიულ, არარეალურ გეგმებს. რის გამო წლობით ჭიანურდებოდა მათი აგება. მამალაძის მავნებლობის შედეგია ის, რომ ლაგოდეხის, ჩაქვის, ხაშურის, კასპის, სტალინირის საავადმყოფოების აგება ახლაც არ არის დამთავრებული. მთელი რიგი ობიექტები, რომელნიც 1936 წელს უნდა აეგოთ, დღესაც არ არის მზად, 1937 წლის გეგმა მხოლოდ 10 პროცენტით არის შესრულებული.

თითქმის ასეთივე მდგომარეობა შექმნეს ჯანსახკომის საკურორტო სამმართველოში მოკალათებულმა ხალხის მტრებმა ხითაროვმა, პისკუნოვმა, ქელიძემ და სხვებმა, რომელნიც ხშირხშირად სცვლიდნენ ჩვენი ქვეყნის კურორტების კეთილმოწყობის გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს, მასალის ნაკლებობის მომიზეზებით შლიდნენ საკურორტო მშენებლობის ცალკეულ უბნებს.

გაურკვევლობა და უთავბოლობა იყო გამეფებული კადრების მომზადებასა, შერჩევასა და განაწილებაშიც. მავნებელი მამალაძე და მისი დამქაშები ხშირად ახერხებდნენ პასუხსაგებ სამუშაოზე არ წამოეწიათ ახალგაზრდა უნარიანი კადრები, საკმაო რაოდენობით არ ამზადებდნენ ისეთი მნიშვნელოვანი სპეციალობის ექიმებს, როგორიც არიან ეპიდემიოლოგი, მიკრობიოლოგი, სანიტარული, კბილის, ყელ-ყურისა და სხვ. ექიმები. კადრების უხეირო განაწილებას თვალსაჩინოდ ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს 290 სტომატოლოგიდან 239 თბილისში მუშაობს, როცა ასეთ ექიმებზე რაიონებში დიდი მოთხოვნილებაა.

ექიმთა კადრების სამჭედლოს, სამედიცინო ინსტიტუტს, მამალაძის „ლოცვა-კურთხევით", სათავეში ედგა ორპირი და თვალთმაქცი კ. ცომაია, რომელმაც, მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, უფრო მეტი არევ-დარევა შეიტანა ინსტიტუტის მუშაობაში. ინსტიტუტის პროფესორ - პედაგოგთა შემადგენლობაში ადგილი ჰქონდა შუღლსა და უპრინციპო კინკლაობას, სტუდენტთა შორის არ სწარმოებდა აღმზრდელობითი მუშაობა, დამახინჯებულად ხდებოდა სტუდენტთა მიღება, მოშლილი იყო დისციპლინა, უყურადღებოდ, უმეთვალყუროდ მიტოვებული და თვითდინებაზე მინდობილი იყო სამედიცინო ქალაქის მშენებლობა.

ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი სახალხო კომისარი, ფაშისტთა საზიზღარი შიკრიკი მამალაძე და გარეწარი ცომაია შეეცადნენ ყურადღება არ მიექციათ საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას მითითებისათვის, რომ „ფართო გასავალი აქვს შეთავსებლობას, რის გამო პროფესორები და დოცენტები ვერ ასწრებენ ლექციებისათვის მომზადებას და ამიტომ ლექციების დონე ყოველთვის არ არის მაღალი". ამის შედეგად ინსტიტუტის პროფესორთა შორის ფართოდ გავრცელდა შეთავსებლობა. ინსტიტუტის 46 პროფესორიდან ხუთი და მეტი თანამდებობა აქვს 21-ს, 4 თანამდებობა—11-ს. არც ისე იშვიათია მოვლენა, როცა პროფესორი 8 სხვადასხვა თანამდებობაზე „მუშაობს".

დამაკმაყოფილებელი ვერ არის ჯანსახკომის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობა. მათი კვლევის თემატიკა ჯერ კიდევ სავსებით ვერ არის შეფარდებული საქართველოს მშრომელთა კონკრეტულ მოთხოვნებთან. სრულებით არა სჩანს საქ. ექიმთა საზოგადოების მუშაობა. ამის მიზეზია ის, რომ ამ საზოგადოებას „რიგ-რიგობით ხელმძღვანელობდნენ" ხალხის მტერი პ. კიკალეიშვილი და ამჟამად პარტიის რიგებიდან გაძევებული უქნარა გ. ვაწაძე.

ჯანსახკომის ცენტრალურ აპარატში, სადაც მოკალათებულნი იყვნენ მამალაძის დამქაშები: ჯიბუტი, ხუტულაშვილი, ჩერქეზიშვილი, ერისთავი და სხვ., საკმაოდ ჰქონდა ფესვები გადგმული ბიუროკრატიზმს, კანცელარობანას, უგეგმობასა და უსისტემობას, ხელდახელოდ შეთხზული ციფრებითა და ცნობებით ზემდგომი ორგანოების თვალისახვევის ცდას. რაც მთავარია, ჯანსახკომის აპარატი საკმაო, ცოცხალ კონკრეტულ - ოპერატიულ ხელმძღვანელობას ვერ უწევდა ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს. აპარატის მუშაკები მეტწილად კანცელარიებში ისხდნენ და გრძელ-გრძელი ცირკულარების წერითა და „მოხსენებითი ბარათების" შედგენით „ასრულებდნენ" თავის რთულ და მეტად პასუხსაგებ მოვალეობას.

ჯანსახკომს ჯერ კიდევ არ მოუკიდნია, როგორც საჭიროა, ხელი თავისი ფართოდ გაშლილი ძირეული ქსელის მუშაობის გარდაქმნისათვის. ჩვენი საავადმყოფოები, დისპანსერები, პოლიკლინიკები, საექიმო პუნქტები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. მრავალ საავადმყოფოში (ლუქსემბურგი, ხობი, გეგეჭკორი, ყვარელი, ველისციხე და სხვ.) მოწესრიგებული არ არის ავადმყოფთა კვება, მათი წესიერი მოვლა და ნამდვილი მშობლიური მზრუნველობა, ძალიან სუსტია შრომის დისციპლინა, ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობას, მოუგვარებელია საავადმყოფოს ფურცლების (ბიულეტენების) გაცემა და სხვ.

ჯერ კიდევ ბევრია ექიმთა წამგლეჯობის, კერძო პრაქტიკის ბოროტად გამოყენებისა და საბჭოთა ექიმისათვის შეუფერებელი საქციელის ფაქტები. მაგალითად, ჯანსახკომის მუშაკთა აშკარა ხელისშეწყობით ზუგდიდის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექ. ბ. გობეჩია შეთავსებით ექვს თანამდებობას „ასრულებს". ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც საკმაოდ მოიპოვება. მეორე მხრივ, რაიონების ჯანმრთელობის განყოფილებები ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ექიმებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა ექიმებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ეს და მრავალი სხვა ნაკლი ახასიათებს ჩვენი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობას. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის განახლებულმა ხელმძღვანელობამ ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით უნდა გამოასწოროს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში არსებული ნაკლოვანებანი და ლიკვიდაცია უყოს ხალხის მტრების მიერ გაწეული მავნებლობის შედეგებს.

მოსკოვი

## ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ქალაქ გორკში, ჩემს სამშობლოში, სადაც მეორე დღეა სტუმრად ვარ თანამემამულეებთან, — სასიხარულო ამბავი მივიღე. მთავრობამ დააჯილდოვა თვითმფრინავ „ანტ-25-ის" ეკიპაჟი წითელი დროშის ორდენით.

ძნელია სიტყვებით გადმოცემა იმ ღრმა მადლობის მღელვარე გრძნობისა, რამაც შემიპყრო, როდესაც ამ ახალი მაღალი ჯილდოს ამბავი გავიგე.

მე, დიდი საბჭოთა ხალხის შვილი, მისი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის, მისი ლენინური ცეკას და შენი, ჩვენო საყვარელო ბელადო, მამავ და მასწავლებელო, უსაზღვროდ ერთგული გიპატაკებ იმის შესახებ, რომ კვლავ მზად ვარ ავფრინდე ჰაერში, მზად ვარ ახალი დავალებებისათვის ჩემი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

ვფიქრობ, რომ გამოვთქვამ ჩემი ამხანაგების ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის აზრს, თუ ახალი ჯილდოს პასუხად მოგცემთ თქვენ პირობას, რომ შესრულებული იქნება ყოველი თქვენი დავალება, პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება. მე კი პირადად ვიფრენ იმ დრომდე, სანამ მარჯვენა ხელს უნარი აქვს ეპყრას თვითმფრინავის მართვის ოწინარი, ხოლო თვალებს კი — დაინახონ მიწა.

თქვენი ვალერი ჩკალოვი

ქ. გორკი.

## რადიოგრამები თვითმფრინავ „ნ-209"-დან

**4 საათი და 35 წუთი.** 3 საათსა და 50 წუთზე გრძედი 44 გრადუსი და 20 წუთი, განედი 74 გრადუსი და 50 წუთი. კარგად ვისმენთ ორივე შუქურას. მაგრამ რუდოლფისაკენ პირდაპირ შუქურით წასვლა შეუძლებელია. მაღალი ღრუბლიანობაა 50 მერიდიანის აღმოსავლეთით. მივდივართ ალექსანდრას მიწისკენ. ყველაფერი რიგზეა. თავს კარგად ვგრძნობთ.

ლევჩენკო, გალკოვსკი.

**4 საათი და 58 წუთი.** 4 საათსა და 28 წუთზე განედი 76 გრადუსი და 52 წუთი, გრძედი 44 გრადუსი და 50 წუთი. ყველაფერი რიგზეა.

ლევჩენკო, გალკოვსკი.

**5 საათი და 43 წუთი.** სიმაღლე 6 ათასი მეტრი. ჰაერის ტემპერატურა 27. ყველაფერი რიგზეა.

ლევჩენკო.

**6 საათი და 44 წუთი.** 6 საათსა და 20 წუთზე განედი 79 გრადუსი 13 წუთი, გრძედი 51 გრადუსი და 42 წუთი. გადავლახეთ ფრონტი.

მივდივართ რუდოლფისაკენ შუქურების მიხედვით. როგორ გვისმენთ? ყველაფერი რიგზეა. თავს კარგად ვგრძნობთ.

ლევჩენკო, გალკოვსკი.

**8 საათი და 30 წუთი.** რუდოლფი, მე ვარ რლ. მომეცით რადიოშუქურის ზონა ჩრდილოეთით.

**9 საათი და 15 წუთი.** მივდივართ შუქურის მიხედვით. ყველაფერი რიგზეა. ეკიპაჟი თავს კარგად ჰგრძნობს.

გალკოვსკი.

**13 აგვისტო, 11 საათი 50 წუთი.** პოლუსის გზაზე შუქურის ზონაში. ფრენის სიმაღლე 5400. მატერიალური ნაწილი ჩინებულად მუშაობს. ჰაერის ტემპერატურა — 28 გრადუსი. ყველაფერი რიგზეა. ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს. როგორ გესმით ჩემი?

გალკოვსკი.

**12 საათი და 32 წუთი.** განედი 87,55. გრძედი 58. მივყვებით ღრუბლებს, ვსერავთ ფრონტებს. ფრენის სიმაღლე 6.000, გვხვდება პირქარი. ყველაფერი რიგზეა. მატერიალური ნაწილი ჩინებულად მუშაობს. თავს კარგად ვგრძნობთ.

ლევჩენკო, გალკოვსკი.

**13 საათი და 40 წუთი.** მივფრინავთ პოლუსზე. იგი ჩვენ სიძნელით მოვიპოვეთ, ბარენცის ზღვის შუაგულიდან დაწყებული. მუდმივ ძლიერი ღრუბლიანობაა. სიმაღლე 6.000 მეტრი, ტემპერატურა — 35 გრადუსი. კაბინის მინები ჭირხლით არის დაფარული. ძლიერი პირქარია. გვაცნობეთ, როგორი ამინდია პოლუსს მიღმა. ყველაფერი რიგზეა.

ლევანევსკი, კასტანაევი, ლევჩენკო, გალკოვსკი, გოდოვიკოვი, პობეჟიმოვი.

## გადაფრენის მსვლელობა

13 აგვისტოს შუა დღემდე გადაფრენის შტაბში სისტემატურად მოდიოდა საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ს. ა. ლევანევსკის გადაფრენის მსვლელობის ცნობები. გადაფრენა წარმატებით მიმდინარეობდა. 13 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით თვითმფრინავმა „სსსრ — ნ-209" გადაუარა თავზე ჩრდილოეთის პოლუსს და აიღო კურსი ალიასკისაკენ. გადმოცემებს თვითმფრინავიდან ღებულობდნენ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს სანაპირო რადიოსადგურები. 14 საათსა და 32 წუთზე თვითმფრინავიდან გადმოსცეს რადიოგრამა, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ მარჯვენა ნაპირა მოტორი გამოვიდა მწყობრიდან ზეთსადენის გაფუჭების გამო. ფრენის სიმაღლე 4.600 მეტრი მთლიანი ღრუბლიანობის პირობებში.

ამ დროისათვის თვითმფრინავმა, დახარჯა რა რამდენიმე ტონა საწვავი მასალა, იმდენად შემსუბუქდა, რომ შეეძლო ფრენის გაგრძელება სამი მოტორით დაუწევლად.

ამის შემდეგ დაირღვა რეგულარული კავშირი თვითმფრინავთან. 15 საათსა და 58 წუთზე მოსკოვის დროით იაკუტის რადიოსადგურმა შემდეგი ცნობა მიიღო თვითმფრინავიდან: „ყველაფერი რიგზეა. სმენადობა რ-1" (რაც ნიშნავს — ცუდია). შემდეგ 17 საათსა და 53 წუთზე შმიდტის კონცხის რადიოსადგურმა შემდეგი რადიოგრამა მიიღო თვითმფრინავიდან: „როგორ გვისმენთ? რლ (გამოსაწვევი ნიშნები ლევანევსკის თვითმფრინავისა). გველოდეთ".

სსრკ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის თხოვნით ჩრდილო ამერიკის ყველა სამხედრო, საკომერციო და მოყვარულთა რადიოსადგური განუწყვეტელ დაკვირვებას აწარმოებს ეთერზე, ისმენს რა საბჭოთა თვითმფრინავის გამოსაწვევ ნიშნებსა და გადაცემებს. იმავე დროს განუწყვეტელ დაკვირვებას აწარმოებენ ჩრდილოეთისა და შორეულ - აღმოსავლეთის საბჭოთა რადიოსადგურები. მოსკოვსა და ვაშინგტონს, აგრეთვე მოსკოვ - სანფრანცისკოს და ფერბენქსს შუა რადიოტელეფონისა და ტელეგრაფის რეგულარული კავშირია. სსრკ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარი ამხ. ი. ა. ხალეპსკი ყოველ ნახევარ საათში რადიოტელეფონით ელაპარაკება სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველს ა. შ. შტატებში ამხ. უმანსკის.

მაგრამ 14 აგვისტოს 2 საათამდე არ მოხერხდა კავშირის განახლება თვითმფრინავ „სსსრ — ნ-209"-თან.

## მოსკოვ-ჩრდილოეთ ამერიკის მარშრუტით გადაფრენების მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

როგორც გუშინ იყო გამოქვეყნებული, საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ს. ა. ლევანევსკის გადაფრენა თვითმფრინავ „სსსრ ნ-209"-ით მიმდინარეობდა ძალიან ძნელ ატმოსფერულ პირობებში. მაღალი მთლიანი ღრუბლიანობის გამო თვითმფრინავს უხდებოდა ფრენა დიდ სიმაღლეზე 6.000 მეტრამდე. 14 საათსა და 32 წუთზე მწყობრიდან გამოვიდა ერთერთი მოტორი და თვითმფრინავს მოუხდა ძირს დაწევა 4.600 მეტრამდე. მას შემდეგ თვითმფრინავიდან სრული რადიოგრამები მიღებული არ არის. მიღებულ დეპეშათა ნაწყვეტებიდან სჩანს, რომ თვითმფრინავი ჯერ კიდევ რამდენიმე ხანს განაგრძობდა ფრენას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვითმფრინავი, რომელიც იძულებული იყო ღრუბლებში ეფრინა, შემოიყინა, რამაც გამოიწვია იძულებითი დაშვება ყინულზე. პოლუსის რაიონში და მის შემდეგ ყინულის პირობები შედარებით ხელსაყრელია ძეთი დაშვებისათვის. ყველა პოლარული რადიოსადგური განუწყვეტლივ განაგრძობს სმენას თვითმფრინავის ტალღაზე. რადიოსადგურებმა რამდენჯერმე გაიგონეს ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის მუშაობა ტალღაზე, მაგრამ სუსტი სმენადობის გამო, რაიმე სარწმუნო ცნობების მიღება ვერ მოხერხდა.

თვითმფრინავ „ნ-209"-ის ეკიპაჟი უზრუნველყოფილია თვენახევრის სურსათით, აგრეთვე კარვებით, დასაძინებელი ტომრებით, თბილი ტანისამოსითა და იარაღით.

განიხილა რა მდგომარეობა, მთავრობის კომისიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი დახმარების დაუყოვნებლივ აღმოსაჩენად. დახმარება ეწყობა ორი მიმართულებით: არქტიკის აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორში.

აღმოსავლეთ სექტორში, ჩუკოტის ნახევარკუნძულის მხრიდან, მიღებულია შემდეგი ზომები:

1. ყინულისმჭრელ „კრასინს", რომელიც ჩუკოტის ზღვის ნაპირებთან იმყოფება, მიეცა ბრძანება დაუყოვნებლივ გაემგზავროს შმიდტის კონცხისაკენ, სადაც მდებარეობს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს ავიაბაზა, მიიღოს იქ 3 თვითმფრინავი ეკიპაჟებითა და საწვავი მასალით, გაემგზავროს ბაროუს კონცხის რაიონში ალიასკაზე, ხოლო იქიდან—ჩრდილოეთისაკენ, რამდენადაც ამის საშუალებას მისცემენ ყინულები, და იქ დარჩეს ბაზად.

2. გემ „მიქოიანს", რომელიც ბერინგის ზღვაში იმყოფება, მიეცა ბრძანება ქვანახშირის სრული ტვირთით გაემართოს „კრასინისაკენ".

3. მფრინავ ზადკოვის ორმოტორიანმა ჰიდროთვითმფრინავმა „სსსრ ნ-2", რომელიც ნოგაევოს ბუხტში იმყოფება, მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ გაემგზავროს უელენში და იქიდან—„კრასინის" ადგილისაკენ.

დასავლეთ სექტორში, რუდოლფის კუნძულის ავიაბაზასა და ამხ. პაპანინის „ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურზე დაყრდნობით, მიცემულია შემდეგი მითითებანი:

1. მოამზადონ გასაფრენად სამი თვითმფრინავი „ანტ-6", რომლებიც პოლუსიდან დაბრუნდნენ მოსკოვში. ეს თვითმფრინავები საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. ვოდოპიანოვის, მოლოკოვისა და ალექსეევის მეთაურობით იგზავნება რუდოლფის კუნძულზე, ხოლო იქიდან—ჩრდილოეთის პოლუსის რაიონში.

2. პაპანინის პოლარული სადგური, რომელიც ამჟამად იმყოფება ნოლ მერიდიანზე და 87 გრადუსის და 20 წუთის განედზე, გადაქცეული იქნება ავიაბაზად—ძებნის გამოსავალ წერტილად,—რისთვისაც რუდოლფის კუნძულიდან საწვავი მასალა გაიგზავნება თვითმფრინავებით „ანტ-6".

კომისიის შეკითხვაზე ამხ. პაპანინმა უპასუხა, რომ მისი მინდორი შენახულია მთლიანად და თვითმფრინავების დაშვება შესაძლებელია.

3. საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. გოლოვინის და მფრინავ გრაციანსკის ორმოტორიან თვითმფრინავებს „სსსრ ნ-206"-ს და „სსსრ ნ-207"-ს მიეცა განკარგულება გაფრინდნენ დიქსონის კუნძულზე და იყვნენ იქ რეზერვში ჩრდილოეთისაკენ არქტიკის დასავლეთის ან აღმოსავლეთის სექტორებში გასაფრენად, საჭიროების მიხედვით.

რადიო და მეტეოროლოგიური სადგურების მთელი ქსელი განაგრძობს მუშაობას.

მთავრობის კომისია.

(საქდესი).

## ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი ინგლისში

**ლონდონი,** 13 აგვისტო (საქდესი). დღეს დილით პარიზიდან მოფრინდნენ მფრინავები გრომოვი, იუმაშევი და დანილინი ცოლებთან ერთად. კროიდონის აეროდრომზე დიდძალი ხალხი აღფრთოვანებით მიესალმა გმირებს. მფრინავებს შეეგებნენ საბჭოთა კოლონია სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. მაისკის მეთაურობით, სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ამხ. პიკმანი, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ინგლისის საზოგადოების წარმომადგენლები და პრესის წარმომადგენლები.

### უკანასკნელი ცნობები

## იაპონიის ჯარებმა პირველი ძლიერი დამარცხება იგემეს

**შანხაი,** 14 აგვისტო (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს ბაოდინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ იაპონიის ჯარებმა პირველი ძლიერი დამარცხება იგემეს იმ იერიშის დროს, რომელიც მათ ნანკოუს მთის გასასვლელზე მიიტანეს. ეს გასასვლელი წარმოადგენს ბეიპინ-სუიუანის რკინიგზის მნიშვნელოვან სტრატეგიულ წერტილს. მას შემდეგ, რაც იაპონელები არაერთხელ და უშედეგოდ შეეცადნენ ხელთ ეგდოთ მთის გასასვლელი, გუშინ საღამოს მათ უკან დაიხიეს და დასტოვეს მრავალი მოკლული. იაპონელები იერიშზე გადადიოდნენ 30 ყუმბარმტყორცნის, 60 საველე ქვემეხის და 30 ტანკის დახმარებით.

## გრენადაში გრძელდება მღელვარება

**ვალენსია,** 14 აგვისტო (საქდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ გრენადაში გრძელდება მღელვარება. ქალაქიდან მოისმის ყუმბარებისა და ავიაყუმბარების აფეთქების ხმა.

## საბჭოთა სპორტსმენები—მსოფლიო მუშათა ოლიმპიადაზე გამარჯვებულნი დაბრუნდნენ მოსკოვში

**მოსკოვი,** 14 აგვისტო (საქდესი). 13 აგვისტოს მოსკოვი შეხვდა საბჭოთა სპორტსმენებს—ანტვერპენის მსოფლიო მუშათა სასპორტო ოლიმპიადაზე გამარჯვებულებს. ბელორუსიის სადგურის ბაქანზე ჩამწკრივებული იყო ფიზკულტურელთა საპატიო ყარაული.

ვაგზლის მოედანზე გაიმართა ხანმოკლე მიტინგი. დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ერასტოვმა და ნ. სტაროსტინმა განაცხადეს, რომ საბჭოთა სპორტსმენების დელეგაციამ ყველაზე უკეთეს შედეგებს მიაღწია შეჯიბრებებში. ფიზკულტურელები ამ გამარჯვებას უნდა უმადლოდნენ პარტიისა და მთავრობის და ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრის ამხანაგ სტალინის განსაკუთრებულ მზრუნველობას.

## ყინულმჭრელი „ი. სტალინი"

**ლენინგრადი,** 13 აგვისტო (საქდესი) ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ფიცარნაგებიდან წყალში ჩაუშვეს არქტიკული ფლოტის ფლაგმანი ყინულმჭრელი „ი. სტალინი".

ჩაშვების აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი აკადემიკოსი შმიდტი.



## ნიკოლოზ გიორგის-ძე კასტანაევი

მფრინავი-გამომცდელი კასტანაევი 33 წლისაა. იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც ასე კარგად ასახა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ თავის წიგნში „როგორ იწრთობოდა ფოლადი". პირველი კლასის პილოტს ნიკოლოზ გიორგის-ძე კასტანაევს არ მიუღია სისტემატური განათლება. მას ზრდიდა დედა, რომელიც ქირაზე მუშაობდა. მას, ქმრის სიკვდილის შემდეგ, დიდი ოჯახი დააწვა კისერზე. თხუთმეტი წლის ნიკოლოზი იძულებული იყო მიეტოვებინა სკოლა და დამოუკიდებლად ეშოვნა ლუკმა პური. იმ დროს მას განსაკუთრებით იზიდავდა საავტომობილო საქმე. იგი თანდათანობით ეუფლებოდა მანქანას, მუშაობდა რა თაკდაცვა-ავიაქიმის საავტომობილო ბაზის ზეინკლად და შემდეგ შოფერად.

1919 წელს კასტანაევი შედის კომკავშირში. 4 წლის შემდეგ აღსრულდა მისი სანუკვარი ოცნება. 1923 წელს კომკავშირი ჰგზავნის კასტანაევს საფრენოსნო სკოლაში დაამთავრა რა სკოლა წითელ მეთაურად, იგი შევიდა მფრინავთა მეორე სკოლაში და 1926 წელს გამოვიდა სამხედრო-საჰაერო ძალთა ნაწილში.

1928 წელს კასტანაევი მფრინავთა მესამე სამხედრო სკოლის ინსტრუქტორია. აქ იგი იჩენს მფრინავის კარგ თვისებებს და მას ნიშნავენ მფრინავად მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ახალგაზრდა მფრინავისათვის ეს დიდი პატივია!... 1931 წლამდე იგი მუშაობს მსუბუქი თვითმფრინავების გამოცდაზე, ხოლო წლის დამლევიდან—ჰიდროთვითმფრინავთა გამომცდელ მფრინავად.

1935 წლის თებერვლიდან კასტანაევი მუშაობს საავიაციო მრეწველობაში ახალ კონსტრუქციათა გამოცდის ხაზით.

კასტანაევი ბაიდუკოვის დიდი მეგობარია. სწორედ ერთად დაამყარეს მათ 5 ტონა ტვირთით სიშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი. ბაიდუკოვი ფრინავდა როგორც შტურმანი, მანქანის პილოტი იყო კასტანაევი.

თავისი მუშაობის დროს კასტანაევმა ჰაერში გამოსცადა სხვადასხვაგვარი კონსტრუქციების რამდენიმე ათეული მანქანა. ლევანევსკიც არ შესცდა, როდესაც თავისი არჩევანი კასტანაევზე შეაჩერა,—ეს თავდაბალი კაცი — ბოლშევიკი, რომელიც საავიაციო ტექნიკის ჩინებულად დაუფლებისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით არის დაჯილდოებული, ღირსეულად გაამართლებს დაკისრებულ მოვალეობას.

## ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქჩაის" 10 აგვისტოს ცნობებით)

| ფაბრიკები | დამზადებულია სულ ტონობით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით | აგვისტოს გეგმის შესრულება პროც. |
|---|---|---|---|
| ხალიბაური | 475,9 | 70,2 | 22,5 |
| ორთაბათუმი | 218,2 | 61,1 | 15,4 |
| ჩაქვი | 1.583,4 | 57,6 | 25,5 |
| ბობოყვათი | 568,2 | 66,8 | 22,5 |
| ხუცუბანი | 818,5 | 56,6 | 21,3 |
| ქობულეთი | 812,4 | 53,3 | 15,8 |
| ნატანები | 332,1 | 72 | 27,4 |
| შრომა | 304,1 | 63,9 | 20,9 |
| ლაითური | 960,2 | 62 | 20,1 |
| მახარაძე | 979,2 | 58,6 | 23,1 |
| მალალიეწერი | 379,2 | 68,2 | 29 |
| ნასაკირალი | 608,6 | 63,9 | 21,6 |
| აცანა | 506 | 62,2 | 17,6 |
| ნიგვზიანი | 289,5 | 67,1 | 20,9 |
| ხუფსა | 326,1 | 65 | 18,7 |
| მამათი | 353,7 | 58,5 | 16,7 |
| ლანჩხუთი | 264,7 | 62,7 | 17,3 |
| ჩოხატაური | 540,1 | 70,1 | 32,8 |
| წულუკიძე | 322,4 | 71,8 | 27,8 |
| უშაფათი | 420,5 | 71,3 | 28,5 |
| დიდიჯყონი I | 405,3 | 74,2 | 25,3 |
| დიდიჯყონი II | 351,9 | 55,8 | 5,1 |
| ზუგდიდი | 1.023,9 | 62,7 | 17,6 |
| ნარაზენი | 528,7 | 58,4 | 17,3 |
| წალენჯიხა I | 211,6 | 64,2 | 17,1 |
| წალენჯიხა II | 224,7 | 48,8 | 11,5 |
| ჭალაფახულანი | 50,3 | 56,9 | — |
| ჩხოროწყუ | 399 | 70,6 | 21 |
| გალი | 272,2 | 62,2 | 15 |
| აჩიგვარა | 398,3 | 61,4 | 16,6 |
| ნაბაკევი | 319,4 | 69 | 21,9 |
| მოქვი | 412,2 | 60,1 | 17,3 |
| ახალხიბულა | 99,8 | 70,9 | 28,9 |
| ორპირი | 147,6 | 82 | 29,3 |
| ანასეული | 137,7 | 57,1 | 14,3 |
| სულ | 15.584,4 | 63,4 | 20,2 |

აგვისტოს პირველ 6 დღიურში დამზადდა სულ 594,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო მეორე ხუთდღიურში — 990,4 ტონა, სარმან 10 აგვისტოსათვის ჩაის ფაბრიკებს დამზადებული ჰქონდათ 19.250,3 ტონა ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებული იყო 60,5 პროცენტით, ხოლო აგვისტოს გეგმა — 18,9-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ იქმნებოდა თვითმფრინავი „სსსრ ნ-209"

თვითმფრინავი, რომლითაც ჩვენი სახელოვანი შევარდნები გაუდგნენ საგმირო შორ გზას, აგებულია 1935 წელს. ეს არის სატრანსპორტო მანქანა ოთხი მოტორით თითო 850 ცხენის ძალისა. მისი ფრთების გაშლა 40 მეტრს უდრის. საზიდი ზედაპირის ფართობი 237 კვ. მეტრია. თვითმფრინავი წარმოადგენს მონოპლანს სამლანჟერონიანი ფრთით. მისი საკრეისერო სისწრაფე უდრის 280 კილომეტრს საათში.

ჩვენს წინაშე დასმული იყო ამოცანა — აგვეგო თვითმფრინავი, რომელსაც შეეძლებოდა დაეფარა საკმაოდ დიდი მანძილები, აეწია დიდი ტვირთი, დაშვებულიყო სხვადასხვა აეროდრომზე მცირე ძირსაშვები სისწრაფით. მანქანა საკმაოდ აეროდინამიკური უნდა იყოს და უნდა ჰქონდეს ყველა საშუალება ძირსაშვები სისწრაფისა და პირისპირა წინააღმდეგობის შესამცირებლად. ამიტომ არის მანქანის აეროდინამიკური სქემის მონოპლანი მოკვეცილი ცხვირით, ნახევრადასაკეცი შასით, სპეციალური ჰაერმპობებით რადიატორებზე, დახურული კაბინებით.

გარდა ამისა მანქანაში მრავალი სიახლეა შეტანილი. დიდი მუშაობა გასწიეს დამხმარე მოტორთა და იმ აგრეგატთა კონსტრუირებისათვის, რომლებიც საჭიროა თვლების ასაწევად, შასის ასაკეცად და დასაშვებად, ფარების ასაწევად და დასაკეტად, ყავარჯნის ასაღებად, მოტორთა ასამუშავებლად და ტვირთის ასაწევად. შორი ფრენისათვის მანქანას აქვს სათანადო საჰაერონავიგაციო მოწყობილობანი და რადიოაპარატურა.

ყველა ამ საკითხზე მუშაობდა რამდენიმე ბრიგადა ი. მ. კურიცკესის, მ. მ. შიშმარიოვის, ნ. ი. ბაზენკოვის მეთაურობით.

1935 წლის 2 მაისს თვითმფრინავი „სსსრ ნ-209"-ს დაათვალიერეს ამხანაგმა სტალინმა, ვოროშილოვმა, კაგანოვიჩმა, ორჯონიკიძემ და ალქსნისმა. როდესაც ამხანაგი სტალინი მოვიდა ჩემს თვითმფრინავთან, ალქსნისმა გააცნო მას მანქანის კონსტრუქციის ძირითადი მონაცემები და თავისებურებანი და აცნობა, რომ იგი გააკეთა ახალგაზრდა კოლექტივმა, რომლისთვისაც ეს მანქანა პირველი იყო. ამხანაგი სტალინი გაემართა კარისაკენ, რომლითაც თვითმფრინავის შიგნით შედიხართ. დაათვალიერა რა ყურადღებით მანქანა, მან მაგრად ჩამომართვა ხელი და მისურვა წარმატებანი შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში.

1936 წლის პირველ მაისს ჩემი თვითმფრინავი მონაწილეობას ღებულობდა საჰაერო პარადში.

მიიღეთ რა მითითება—მომემზადებინა მანქანა მოსკოვიდან ჩრდილო ამერიკაში გადასაფრენად ჩრდილოეთის პოლუსით, ჩვენ ვცდილობდით უზრუნველგვეყო მანქანის საკმაოდ შორი გაფრენა, რისთვისაც, აქვე უნდა ითქვას, იგი ნორმალურად არ არის გაანგარიშებული, და შეგვეგუებინა ის ტრანსარქტიკული გადაფრენისათვის.

თვითმფრინავს დროდადრო მოუხდება დიდ სიმაღლეზე ფრენა, რათა გულმოდგინედ შევისწავლოთ ფრენის შესაძლებლობა ღრუბლებსმიღმა არქტიკულ სიმაღლეებში, ამ მიზნით თვითმფრინავზე დავდგით საბერი მოტორები. ეს მოტორები აძლიერებენ ფრენის სიმაღლეს, მაშასადამე, ამცირებენ შემოყინვის საფრთხეს.

ამ მუშაობაში საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ მთელი რიგი ქარხნები, რომლებიც თვითმფრინავს ამარაგებენ მზა აგრეგატებით. მუშაობას მანქანის მოსამზადებლად ხელმძღვანელობდა გადაფრენის შტაბი პოლკოვნიკ ვასილ ივანეს-ძე ჩკალოვის მეთაურობით.

როდესაც დაიწყო ჰაერში მანქანის გამოცდის პერიოდი, ვფრინავდით დღისით, ღამით კი ვმუშაობდით გამოცდის დროს შემჩნეული დეფექტების თავიდან ასაცილებლად. ინჟინრები დღე-და-ღამ აეროდრომზე იყვნენ. 12 დღის განმავლობაში ეკიპაჟი სცდიდა მანქანას ჰაერში, ამჟღავნებდა ნაკლოვანებებს, ბრიგადა კი სწრაფად სპობდა მათ.

როდესაც მანქანა სავსებით შემოწმებული იყო ქარხანაში, იგი კვლავ გადავიტანეთ შჩელკოვოს აეროდრომზე.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ ეს მანქანა არ იქნება უკანასკნელი. ჩემს მშვენიერ სამშობლოს მთელ ჩემს ძალღონეს შევწირავ, რათა შევქმნა კიდევ უფრო მძლავრი, კიდევ უფრო სწრაფმავალი, კიდევ უფრო მეტი ტვირთის ამწევი და დიდ სიმაღლეზე მფრენი მანქანა, ისეთი მანქანა, რომელიც შეეფერება თანამედროვე საავიაციო ტექნიკის პროგრესს.

**ვ. ფ. ბოლხოვიტინოვი**
თვითმფრინავ „სსსრ ნ-209"-ის კონსტრუქტორი.

## უცხოეთის პრესის გამოძახილი ამხ. ლევანევსკის გაფრენის გამო

**პრაღა**, 13 აგვისტო (საქდესი). პრაღის მთელი პრესა დღეს აქვეყნებს მოსკოვიდან მიღებულ ცნობას ამხ. ლევანევსკის თვითმფრინავის სტარტისა და გადაფრენის ტრასის შესახებ. მთელი რიგი გაზეთები ათავსებენ ამხ. ლევანევსკის ბიოგრაფიას.

**ტოკიო**, 13 აგვისტო (საქდესი). ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა ცნობა ამხ. ლევანევსკის გაფრენის შესახებ, მათ აგრეთვე მოჰყავთ დაწვრილებითი ცნობები თვითმფრინავის ეკიპაჟის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ „ეს საბჭოთა უკვე მესამე თვითმფრინავია, რომელიც მოკლე ხნის განმავლობაში ახდენს მამაცურ გადაფრენას ამერიკაში ჩრდილოეთის პოლუსზე გავლით". გაზეთ „ასახი" მოათავსა ცნობა გაფრენის შესახებ შემდეგი სათაურით: „მესამე თვითმფრინავის გაფრენის დანიშნულებას შეადგენს სტალინური მარშრუტის ათვისება".

დანარჩენი გაზეთების საღამოს გამოცემებს მოჰყავთ პირველი ცნობები გადაფრენის უვნებლად მიმდინარეობის შესახებ.

### გამოძახილი საზღვარგარეთ

**ნიუ-იორკი**, 13 აგვისტო (საქდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში უდიდესი ინტერესით ადევნებენ თვალს ამხ. ლევანევსკის გაფრენას. საავიაციო კომერციულ და სამეცნიერო წრეებში ამხ. ჩკალოვისა და გრომოვის გადაფრენებს სთვლიან უმნიშვნელოვანეს, ბრწყინვალე მიღწევებად საჰაერო გზის გაყვანაში. ამხ. ლევანევსკის გაფრენას კი სთვლიან მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში კომერციული და სამგზავრო თვითმფრინავების ფაქტიურად პირველ საცდელ გაფრენად. გაფრენისადმი ინტერესი ძლიერდება იმის გამო, რომ ამხ. ლევანევსკის დიდი ხანია იცნობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მას „საბჭოთა ლინდბერგს" უწოდებენ და სადაც მას მრავალი მეგობარი ჰყავს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ფერბენქსიდან (ალიასკა) იუწყება, იქ მოუთმენლად ელიან ამხ. ლევანევსკის ჩასვლას და გაძლიერებით ემზადებიან მის შესახვედრად. თითქმის მთელმა მოსახლეობამ გადასწყვიტა გამოცხადდეს აეროდრომზე დილით ადრე, რათა შეხვდეს მფრინავებს. ალიასკელი ავიატორი ლევერი და მექანიკოსი არმისტედი, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მიერ დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენით ჩელუსკინელთა გადარჩენის დროს დახმარების აღმოჩენისათვის, ამჟამად იმყოფებიან ფერბენქსში და დახმარებიან მფრინავებს იმ მხრივ, რომ შეასწონ თვითმფრინავის საწვავი მასალა.

სააგენტო სწერს, რომ ალიასკის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში ამინდი კარგია. ზოგიერთ რაიონში არის ცალკეული ღრუბლები, მაგრამ ბაროუდან და სამხრეთისაკენ ფერბენქსამდე ცა მოწმენდილია.

**ნიუ-იორკი**, 13 აგვისტო (საქდესი). ისე, როგორც მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წინანდელი ორი გაფრენის დროს, სასიგნალო სამსახურის კანადის კორპუსი და მეტეოროლოგიური სადგურები იძლევიან დეტალურ ცნობებს ამინდის შესახებ, რათა გადასცენ ისინი ამხ. ლევანევსკის სიეტლის მეშვეობით. ალიასკასა და კანადის ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში მრავალი რადიოსადგური სავსებით მზად არის და მოუთმენლად ელის ცნობებს მფრინავებისაგან.

**ლონდონი**, 13 აგვისტო (საქდესი). ყველა გაზეთი ათავსებს ცნობებს ამხ. ლევანევსკის გადაფრენის შესახებ. ცნობებში განსაკუთრებით აღნიშნავენ ამხ. ლევანევსკის განცხადებას, რომ თვითმფრინავი იფრენს დიდ სიმაღლეზე სუბსტრატოსფეროში.

**პარიჟი**, 13 აგვისტო (საქდესი). საღამოს მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილზე აღნიშნავს ამხ. ლევანევსკის გადაფრენის დაწყებას და მის წარმატებით მიმდინარეობას. გაზეთები მთლიანად ჰბეჭდავენ სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს ყველა დეპეშას, აგრეთვე სიეტლიდან მიღებულ დეპეშებს იმის შესახებ, რომ მამაცი მფრინავები უახლოვდებიან პოლუსს. „სე სუარი" ჰბეჭდავს მოკლე სტატიას ამხ. ლევანევსკის ხელმოწერით, რომელშიაც ლაპარაკია გადაფრენის პირობებსა და მიზნებზე.

## საბჭოთა გენერალურ საკონსულოზე თავდასხმის გამო ტიანძინში

**მოსკოვი**, 14 აგვისტო (საქდესი). სს.კ. დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული ცნობებით, ა. წ. 6 აგვისტოს პასუხად სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულის ტოკიოში ამხ. დეიხმანის განმეორებითი მიმართვისა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ. ხიროტასადმი, რათა მას დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცა საბჭოთა მთავრობის პროტესტზე 1 აგვისტოს მომხდარ თავდასხმის გამო სსრკ გენერალურ საკონსულოზე ტიანძინში, ბ. ხიროტამ უარჰყო ამ საქმეში იაპონიის ხელისუფალთა მონაწილეობა და წინადადება შემოიტანა ადგილობრივ მომხდარიყო საერთო გამოძიება სსრ კავშირისა და იაპონიის კონსულების მონაწილეობით ტიანძინში.

11 აგვისტოს ამხ. დეიხმანმა აცნობა ბ. ხიროტას, რომ სსრ კავშირის გენერალურ საკონსულოზე თავდასხმის სურათი ტიანძინში სავსებით ნათელია და არ საჭიროებს გამოძიებას იმის გამოსარკვევად, რომ იაპონიის სამხედრო ხელისუფალნი პასუხისმგებელი არიან საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების ამ უმაგალითო დარღვევისათვის. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა მზად არის დასთანხმდეს ამ ინციდენტის გამოძიებას — მაგრამ იაპონიის ხელისუფალთა მიერ თავდასხმის საკითხის შესახებ დაკავებული პოზიცია არ იძლევა იმის იმედს, რომ რაიმე დადებითი შედეგი მოჰყვება საერთო გამოძიებას, რომელიც მოხდებოდა პარიტეტულ პრინციპებზე საბჭოთა და იაპონიის კონსულების მიერ. ამის გამო, საბჭოთა მთავრობამ შეიტანა წინადადება, მოხდეს გამოძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ა. შ. შტატების, ინგლისის, ან საფრანგეთის ერთერთი ტიანძინელი კონსული, როგორც მიუკერძოებელი პირი და თითქოს სუპერარბიტრი.

საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება უარჰყო ბ. ხიროტამ, რომელმაც განაცხადა, მესამე პირთა მონაწილეობა ამ გამოძიებაში სავსებით მიუღებელია იაპონიის მთავრობისათვის.

## სსრკ დეპეშათა სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტის განცხადება

**შანხაი**, 12 აგვისტო (საქდესი). სსრ კავშირის დეპ. სააგენტოს კორესპონდენტმა შანხაიში 9 აგვისტოს პრესისათვის გააკეთა შემდეგი ოფიციალური განცხადება.

„ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სსრ კავშირის ვიცე-კონსულს ტიანძინში სმირნოვს წინასწარ ჰქონდა ცნობები, რომ თეთრგვარდიელები იაპონელ მზვერავთა ხელმძღვანელობით აწყობენ საკონსულოზე თავდასხმას. ამის გამო მან თავის დროზე აცნობა კონსულთა კორპუსს მომავალი თავდასხმის ამბავი და, საკონსულოს მიმდინარე მუშაობა რომ არ დაერღვია, მიღებული ინსტრუქციების თანახმად საქმეთა მთელი არქივი საკონსულოს შენობიდან გაიტანა უცხოეთის კონცესიაზე. სსრკ დეპ. სააგენტოს განყოფილებამ შანხაიში დღეს არის მიიღო ცნობები, რომ თავდასხმის მონაწილენი, რომლებიც უკმაყოფილონი დარჩნენ ძარცვის შედეგებით, შეუდგნენ ნაყალბევთა დამზადებას, მათ შორის ისეთ ნაყალბევთა დამზადებას, რაც ვითომდა ადასტურებენ იმას, რომ არსებობდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის რაღაც საიდუმლო ხელშეკრულება, მიმართული იაპონიის წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის — ისეთ ნაყალბევთა დამზადებას, რომლებიც მოწმობენ კომინტერნის მოჩვენებითს საქმიანობას და ა. შ. სსრკ დეპ. სააგენტოს განყოფილებას შანხაიში მიზანშეწონილად მიაჩნია გააფრთხილოს საზოგადოებრივი აზრი, რომ მზადდება ნაყალბევები და ჰფიქრობს, რომ ეს გაფრთხილება ფულის ტყუილ-უბრალოდ ხარჯვისაგან შეაკავებს ზოგიერთს ადვილად დამჯერე ადამიანსა და სენსაციების მაძიებელთ".

10 აგვისტოს ეს განცხადება მთლიანად დაიბეჭდა შანხაის 12 ჩინურ გაზეთში და გაზეთ „ჩაინა პრესში". ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მხოლოდ ერთმა მოფაშისტო გაზეთმა „შიშისინბაომ" არ დაბეჭდა განცხადება.

## ტროცკისტთა გარიცხვა ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტური პარტიის რიგებიდან

**ნიუ-იორკი**, 12 აგვისტო (საქდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" გადმოცემით, სოციალისტური პარტიის ნიუ-იორკის საქალაქო კომიტეტმა თავისი რიგებიდან გარიცხა 52 ტროცკისტი, მათ შორის შახტმანი და ტროცკისტთა დანარჩენი მეთაურები, ძირგამომთხრელი და გამთიშველი მუშაობისათვის. გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 48 ხმის უმრავლესობით 2-ის წინააღმდეგ. იუწყებიან, რომ საქალაქო კომიტეტი იხილავს კიდევ 67 ტროცკისტის გარიცხვის საკითხს.

## კონგრესის რეაქციულ ელემენტთა კამპანია რუზველტის წინააღმდეგ

**ვაშინგტონი**, 13 აგვისტო (საქდესი). პრეზიდენტმა რუზველტმა სენატორი ბლეკი (ალაბამის შტატიდან, დემოკრატიული პარტიის წევრი) დანიშნა უზენაესი სასამართლოს მსაჯულად, ნაცვლად რეაქციონერი ვანდევენტერისა, რომელიც ამასწინათ გადადგა. ჩვეულებრივ, როდესაც პრეზიდენტი სენატის წევრს ნიშნავს რომელიმე პოსტზე, სენატი დაუყოვნებლივ დაადასტურებს ხოლმე ამ დანიშვნას. მაგრამ, რეაქციონერ სენატორთა (რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების წევრთა) კოალიციამ, რომელმაც ჩაფლავა რუზველტის წინადადება უზენაესი სასამართლოს რეფორმის შესახებ, არ მოიწონა ბლეკის დანიშვნა. სენატმა საკითხი ამის თაობაზე გადასცა იურიდიულ კომისიას. ბლეკი მხარს უჭერს რუზველტის პროექტს უზენაესი სასამართლოს რეფორმის შესახებ.

უკანასკნელ დროს კონგრესის რეაქციულმა ელემენტებმა გააძლიერეს კამპანია რუზველტის წინააღმდეგ.

## ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით)

ლონდონიდან იუწყებიან, რომ გენერალი მიახა დაბრუნდა მადრიდს და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, როგორც ცენტრალური ფრონტის სარდალი.

### სამხრეთის ფრონტი

მთავრობის ჯარებმა 12 აგვისტოს მოულოდნელი იერიში მიიტანეს კორდოვის ფრონტზე და დაიკავეს სოფელი ლოპერა. მეამბოხეებმა თავი მოუყარეს რეზერვებსა და კონტრიერიშზე გადავიდნენ. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სოფელი. რესპუბლიკელები სრული წესრიგით დაბრუნდნენ თავიანთ პოზიციებზე, რომლებიც ლოპერას დაშორებულია 1 კილომეტრით. რესპუბლიკელთა ზარალი უმნიშვნელოა. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. არსებული ცნობების თანახმად, რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 16 ტყვე, 2 ტყვიამფრქვევი და სხვა დიდძალი საჭურველი. მეამბოხეებმა დაიწყეს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია პორკუნიდან (კორდოვის აღმოსავლეთით) და ლოპერიდან.

კორდოვის სექტორში ბუენა ვისტას რაიონში დაბანაკებულ რესპუბლიკელთ ესმოდათ ხშირი აფეთქება მეამბოხეთა ზურგში, მონტილის რაიონში.

### აღმოსავლეთის ფრონტი

უესკის სექტორში რესპუბლიკელებმა წარმატებით მიიტანეს იერიში მეამბოხეთა პოზიციებზე და ხელთ იგდეს ორი მნიშვნელოვანი სიმაღლე.

ლონდონის პრესის გადმოცემით, არაგონის მთელ ფრონტზე, განსაკუთრებით სიერა დე ალკუბიერეში, სწარმოებს გაძლიერებული საარტილერიო სროლა. მთავრობის ჯარებმა გაანადგურეს მეამბოხეთა პოზიციები მთის ფერდობებზე პერდიგუერის მახლობლად, სარაგოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით 24 კილომეტრის მანძილზე.

### ცენტრალური ფრონტი

მდინარე ტახოს სამხრეთით მდებარე სექტორში 11 აგვისტოს ღამით მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს ლასისლას პუნქტზე. იერიში მოგერიებულ იქნა. სან-მარტინ დე მონტალიანის სექტორში, ტალავერის რაიონში, ისმოდა ხშირი სროლა მეამბოხეთა ბანაკში. რესპუბლიკელები განაგრძობენ დაზვერვას მდინარე გვადამეს მარჯვენა ნაპირზე. მეამბოხეებმა ყუმბარები დაუშინეს რესპუბლიკელთა პოზიციებს ლა ნავაში.

## მღელვარება მეამბოხეთა ჯარებში

**ვალენსია**, 12 აგვისტო (საქდესი). მეამბოხეთა ჯარებში სამხრეთის ფრონტზე მღელვარებას, პინოს პუენტეს (გრენადის დასავლეთით) გარდა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე სიერა ალვირის რაიონში და ალბოტეში, გრენადის ჩრდილო დასავლეთით 5 კილომეტრის მანძილზე. მეამბოხეთა ბანაკში ისმოდა ყუმბარების აფეთქება და თოფებისა და ტყვიამფრქვევების სროლა.

აღმოსავლეთის ფრონტზე, ტერუელის სექტორში, ფაშისტთა არტილერიამ მეამბოხეთა ზურგში ყუმბარები დაუშინა ვალიდა დე ფრიასს.

ჩრდილოეთის ფრონტზე, ალტო დი ლა მასის მახლობლად, მეამბოხეთა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა რესპუბლიკელთა ჯარების განლაგების ადგილს, საიდანაც ექვსჯერ გაისროლეს ქვემეხი რესპუბლიკელთა ფრონტის საწინააღმდეგო მიმართულებით.

## მეამბოხეთა ესპანური ნაწილების განიარაღება

**ლონდონი**, 13 აგვისტო (საქდესი). როგორც „დეილი ჰერალდის" გიბრალტარელი კორესპონდენტი იტყობინება, კადიქსში განაიარაღეს მეამბოხეთა ყველა ესპანური ნაწილი. ქალაქში მხოლოდ გერმანიისა და იტალიის ჯარები დარჩნენ. კორესპონდენტის სიტყვით, იმ პირმა, რომელმაც მას ეს აცნობა, თავის თვალით ნახა, თუ როგორ აშკარად გადმოტვირთეს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ტყვიამფრქვევები კადიქსის არსენალის ნავმისადგომში.

## თავდასხმები ესპანეთის რესპუბლიკურ გემებზე

**პარიჟი**, 13 აგვისტო (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ კელიბიის რაიონში, კაპ ბონის მახლობლად, ტუნისის აღმოსავლეთით ორი ნაღმოსანი თავს დაესხა ესპანეთის გემს „კამპეადორს". გემის კაპიტანმა ჰარტმა, რომელიც ახლოს გამვლელმა გემმა აიყვანა, განაცხადა, რომ 11 აგვისტოს, როდესაც ბენზინით დატვირთული „კამპეადორი" რუმინეთის ნავსადგურ კონსტანციიდან ვალენსიაში მიემგზავრებოდა და კელიბიიდან 60 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა, გემზე შეამჩნიეს, რომ მას მისდევდა იტალიის ნაღმოსანი „საეტა". ამ ნაღმოსანს მალე შეუერთდა კიდევ ერთი ასეთივე ტიპის გემი, რომელსაც არ ჰქონდა გამოსაცნობი ნიშნები. დაღამებისას ორივე ნაღმოსანი თავს დაესხა „კამპეადორს". პირველი ყუმბარა გასკდა გემის სამანქანო განყოფილებაში, საიდაც მოჰკლა 5 კაცი. ორი დანარჩენი ყუმბარა მოხვდა გემის ცენტრს. გემი ჩაიძირა. ეკიპაჟის გადარჩენილი მატროსები გაგზავნილ არიან ტუნისში. არსებული ცნობების თანახმად, ეკიპაჟის 42 კაციდან დაიღუპა 12 კაცი.

**პარიჟი**, 13 აგვისტო (საქდესი). ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს გადმოცემით, 12 აგვისტოს უცნობი ეროვნების წყალქვეშა ნავებმა კარტახენის რაიონში იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა ნაღმოსნებზე — „ალმირანტე ანტეკერასსა" და „ჩურუკაზე". „ჩურუკა" სერიოზულად დაზიანდა. მოკლულია 3 კაცი და დაიჭრა 9 კაცი.

## იაპონიის ავანტიურა ჩინეთში

### ბრძოლები შანხაის ჩრდილო რაიონში

**შანხაი**, 13 აგვისტო (საქდესი). 9 აგვისტოს მომხდარი „ინციდენტის" შემდეგ, შანხაიში დაძაბულმა მდგომარეობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია იაპონიის დესანტის მოსვლასთან დაკავშირებით. გრძელდება ჩინეთის მოსახლეობის გაქცევა ჩაპეისა და ხონკიუს რაიონებიდან უცხოელთა კონცესიების ტერიტორიაზე. დღევანდელი დღის დილისათვის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტმა დასტოვა ჩაპეი. ჩაპეი და ხონკიუ დაცალიერებულია. მთელი დღის განმავლობაში იაპონელი ჯარისკაცები ეწეოდნენ სიმაგრეების, სამეთვალყურეო პუნქტებისა და ტყვიამფრქვევთა ბუდეების აგებას.

არაჩვეულებრივი დაძაბულობა შეიქმნა ჩრდილო ვაგზლის რაიონში. 12 აგვისტოს ღამით დაიწყო ჩინეთის ჯარების ჩამოსვლა შანხაიში რკინიგზით. ხალხმა სტიქიურად მოუწყო გულთბილი შეხვედრა ჩამოსულ ჯარისკაცებს. ჩინელი მოსახლეობა უსასყიდლოდ ამარაგებს ჯარისკაცებს საჭმლით და ეხმარება ბარიკადების აგებაში.

დღეს არცერთი მატარებელი არ მოსულა შანხაიში.

შანხაიში ჩამოსვლის შემდეგ ჩინეთის არმიამ დაიწყო სიმაგრეებისა და ბარიკადების აგება. დაკეტილ მაღაზიებში ჩინელი ჯარისკაცები აგებენ ბარიკადებს. ტყვიამფრქვევები დადგმულია ბევრი სახლის აივნებსა და სახურავებზე.

**შანხაი**, 13 აგვისტო (საქდესი). შანხაის ჩრდილო რაიონში დაიწყო ბრძოლა. იაპონელი მეზღვაურები, ჩინური ქალაქის მერის წარმომადგენლის განცხადებით, დღეს დილით მოულოდნელად დაესხნენ თავს ჩინელთა თავდაცვის ხაზებს, რომლებიც რკინიგზის ვაკისით ჩაპეის რაიონში მიდის. ბრძოლა დაიწყო სამ ქუჩაში. ჩინეთის ჯარი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს იაპონელებს.

### ბრძოლები შანხაის ქუჩებში

**შანხაი**, 13 აგვისტო (საქდესი). დღის 4 საათზე ჩრდილო ვაგზლის რაიონში, ბაოშან-როდის ქუჩაზე, დაიწყო მეორე შეტაკება იაპონელებთან. ისმის საარტილერიო სროლა. იაპონელებმა გაგზავნეს დიდძალი დამხმარე ნაწილები. ქუჩებში ბრძოლა გრძელდება.

რეიტერის სააგენტო ჰონკონგიდან იუწყება, რომ უილსის ქვეითი ჯარების მეორე ათასეულს 6.800 კაცის შემადგენლობით ამზადებენ, რათა დაუყოვნებლივ გაგზავნონ შანხაიში.

## ჩაპეი იწვის

**ლონდონი**, 13 აგვისტო (საქდესი). ჩინეთიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის სამხედრო გემი დღეს ყუმბარებს უშენდა იუკონის ახალ ნავმისადგომს შანხაისა და უსუნს შუა. ნავმისადგომი იწვის. იაპონიის არტილერიამ ხონკიუში ყუმბარები დაუშინა ჩინელთა პოზიციებს ჩრდილო სადგურის მახლობლად. ჩინეთის არტილერიამ გაძლიერებული სროლით უპასუხა. ჩინეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს იაპონიის ბამბეულის ფაბრიკებზე, რომლებიც საერთაშორისო სეტლმენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის იქითაა.

სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობით, იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ ჩაპეის. ჩაპეი ალშია გახვეული. მოსახლეობაში დიდძალი მსხვერპლია.

## ძალაში შევიდა კანონები ახალი გადასახადების შესახებ

**ტოკიო**, 12 აგვისტო (საქდესი). იმპერატორის მიერ დამტკიცების შემდეგ, დღეს ძალაში შევიდა პარლამენტის საგანგებო სესიის მიერ მიღებული კანონები არსებული გადასახადების გადიდებისა და ახალი გადასახადების შემოღების შესახებ, აგრეთვე დამატებითი ბიუჯეტები ჩრდილო ჩინეთის „ინციდენტთან" დაკავშირებით.

## წმინდა მოვალეობა

დღეს ქვეყნდება თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებანი წითელი არმიიდან იმ პირთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც დაამთავრეს სამსახურის ვადა, და წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის შესახებ. 1915 და 1916 წლებში დაბადებული, რევოლუციის პერიოდში გამოზრდილი ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც არ იციან, თუ რა არის ჩაგვრა და ექსპლოატაცია, წავლენ წითელ არმიაში მშობლიური ქვეყნის დასაცავად.

ჩვენს დიად სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილია: „სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას". ეს სიტყვები მტკიცედ ახსოვს ჩვენი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების რიგებში გასაწვევ ყოველ ახალგაზრდას.

უფროს თაობებს ახსოვთ გაწვევა ცარიზმის დროს. გოდებითა და ტირილით იყო ალსავსე რუსეთის ქალაქები და სოფლები. ახალწვეულნი თავის მწუხარებას ლოთობასა და შმაგობაში ახშობდნენ.

გასაგებია შიში სალდათობის წინაშე. ჯარისკაცისათვის მეფის არმიაში სამსახური ალსავსე იყო უმაგალითო დაცინვით, რაც სისტემად და კანონად იყო გადაქცეული. ჯარისკაცს ამწყვდევდნენ ბნელ კარცერში, მზის გულზე აყენებდნენ თოფქვეშ, პირსახეში ურტყამდნენ.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომელიც ახლა წითელ არმიაში მიდის, ძნელი წარმოსადგენიც არის მეფის დროის სალდათობის საშინელების მთელი სიღრმე, — იმდენად სხვადასხვანაირია ახლანდელი ახალგაზრდობის და მისი მამების ცხოვრებისა და სამხედრო სამსახურის პირობები.

ახალწვეულებმა იციან, რომ წითელი არმია — ეს საუცხოო საბრძოლო და პოლიტიკური სკოლაა, რომ ჩვენში წითელარმიელი — ეს ღირსების სინონიმია, რომ წითელი არმია მხურვალედ უყვარს ხალხს, რომ სამშობლოს დაცვა — უწმინდესი მოვალეობაა.

საბჭოთა ახალგაზრდობა უდიდესი ენტუზიაზმით მიდის არმიაში. როდესაც იაპონელ-მანჯურელებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ვალენტინ კოტელნიკოვი, დონბასიდან შორეულ-აღმოსავლეთში დაუყოვნებლივ გაემგზავრა მისი ძმა პეტრე. როდესაც იაპონელთა მუხანათური ტყვიით დაიღუპა სიმონ ლაგოდა, მის ადგილზე მესაზღვრეთა მამაცი რაზმის რიგებში ჩადგა მისი ძმა ივანე. როდესაც მამაცურად დაიღუპა მეომარი მიხეილ დოლგოპოლოვი, მაშინ მისი ხუთი თანასოფლელი — პანკრატოვი, გორევი, ბუგანოვი, ჩორნიხი და სმიშლიაევი დაუყოვნებლივ წავიდნენ არმიაში იმისათვის, რომ აანაზღაურონ ეს დანაკლისი.

დედები და მამები სიხარულითა და სიამაყით აცილებენ თავის შვილებს წითელ არმიაში. წითელი არმია ხომ—მუშათა და გლეხთა ერთადერთი არმიაა მსოფლიოში, ხალხის არმია. იგი ხომ საყვარელ სამშობლოს და რევოლუციის მონაპოვრებს იცავს: სოციალისტურ ფაბრიკებსა და ქარხნებს, აყვავებულ კოლმეურნეობებს, ქალაქებს, სადაც ცხოვრება სდუღს და გადმოდის, ჩვენს უმდიდრეს მიწებს. ამასწინათ შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სარდლობამ შესანიშნავი წერილი მიიღო კოლმეურნე თ. მიხეევისაგან, რომელიც სტუმრად იყო თავის შვილებთან — წითელი არმიის მეომრებთან შორეულ - აღმოსავლეთის საზღვარზე. მოხუცი კოლმეურნე სწერდა:

„განსაკუთრებული წითელ-დროშოვანი არმია, მისი მეომრები და მეთაურები ამშვენებენ შორეულ აღმოსავლეთს. წითელი არმია — მშობელი დედაა ჩვენი შვილებისათვის. ეს მე ჩემს შვილებზე გამოვცადე. ისინი ჯანმრთელნი, სულით მხნე, წერა-კითხვის მცოდნენი და კულტურულნი არიან... აი რა მინდა გთხოვოთ თქვენ, ამხანაგო ბლიუხერ: იქნებ შეიძლება მოაწყოთ ტანკისტთა მიხეევის ეკიპაჟი? ჩემი შვილი თედორე სატანკო ნაწილში მსახურებს. უფროსი შვილი პავლე — მე მას მოველაპარაკე — თანახმაა გახდეს ტანკისტი. ეკიპაჟის მესამე წევრიც უხეირო არ იქნება — ეს არის ჩემი შვილი ივანე. იგი კომბაინერია და ძალიან უნდა იმსახუროს განსაკუთრებულ წითელდროშოვან არმიაში. როგორ უყურებთ ამას, ამხანაგო ბლიუხერ?"

შორეულ - აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის სარდლობამ დაუყოვნებლივ უპასუხა კოლმეურნე მიხეევს. პასუხში გამოთქმული იყო მხურვალე წითელარმიული მადლობა მიხეევის შვილებისათვის, მათგან დიდი სამშობლოს პატრიოტთა აღზრდისათვის და მიცემული იყო დაპირება, რომ შეიქმნება ტანკისტთა მიხეევის ეკიპაჟი.

სხვა რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი არმიასა და ხალხს შორის ასეთი მჭიდრო, გულის სიღრმეში ჩამწდომი, მხურვალე სიახლოვე ასეთი სიყვარული, ასეთი ურთიერთგაგება? ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, სსრ კავშირში.

წელს წითელი არმია ღებულობს ჯანსაღ, მტკიცე შევსებას! 1912 წლის გაწვევის დროს სამწყობრო და არასამწყობრო სამსახურისათვის გამოსადეგ ახალწვეულთა მხოლოდ 59 პროცენტი იყო. უკვე 1925 წელმა, 1912 წელთან შედარებით, მოგვცა ვარგისობის გადიდება 8 პროცენტით, ხოლო 1936 წელს — 26 პროცენტით. 1937 წელი, უეჭველია, მოგვცემს კიდევ უფრო განსაცვიფრებელ მაჩვენებლებს.

1912 წელს არმიაში გასაწვევთა 33 პროცენტმა არ იცოდა წერა-კითხვა. 1936 წელს გასაწვევთა მხოლოდ 0,03 პროცენტი აღმოჩნდა წერა-კითხვის უცოდინარი.

გაწვევამდე ცოტა დრო დარჩა, მაგრამ ამ მოკლე ვადაში ბოლომდე უნდა მივიყვანოთ დიდი მოსამზადებელი მუშაობა. აქ ცოტა ნაკლი როდი მოგვეპოვება. ცუდად მუშაობენ წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე წვევამდელთა სკოლები კურსკის ოლქში, კრასნოიარსკის მხარეში, გორკის ოლქში. თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციებმა, რომლებსაც დავალებული აქვთ სამხედრო წვევამდელი მომზადების ჩატარება, მთელ რიგ ოლქებში სუსტად გაშალეს მუშაობა, განსაკუთრებით სოფლად.

ამ ნაკლოვანებებს ბოლო უნდა მოვუღოთ უმოკლეს ვადაში.

გაწვევისათვის უნდა ემზადებოდეს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ მთელი ჩვენი საბჭოთა — პარტიული საზოგადოებრიობაც. ხალხი არმიას აძლევს თავის საუკეთესო შვილებს. ვიცნობდეთ ახალგაზრდობას, რომელიც არმიაში მიდის, შევისწავლოთ გასაწვევნი, ყოველნაირად დავეხმაროთ ოჯახებს — ასეთია ამოცანა.

ძველ დროს, როდესაც ოჯახის მარჩენალი ჯარისკაცად მიჰყავდათ, ოჯახი რჩებოდა ისე, რომ არ გააჩნდა არსებობის არავითარი საშუალება. ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში თვითეული ახალი გაწვევა ნიშნავს სიღატაკის ზრდას.

ჩვენში სულ სხვანაირი მდგომარეობაა. წითელ არმიაში გასაწვევმა იცის, რომ სახელმწიფო, სამშობლო, ხალხი დახმარებას არ მოაკლებს მის ოჯახს. იგი მიდის არმიაში დამშვიდებით, თავისი მაღალი მოვალეობის შეგნებით, დარწმუნებული საყოველთაო ყურადღებასა და დახმარებაში.

ჩვენი სამშობლო ცხოვრობს ბედნიერი, სისხლჭარბი, მჩქეფარე ცხოვრებით. ლენინ-სტალინის პარტია დაუღალავად ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე. ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები მუშაობენ სრული დატვირთვით, ჩვენში არ არის უმუშევრობა, ჩვენი კოლმეურნეობანი ხდებიან უფრო-და-უფრო შეძლებულნი, ჩვენი ხალხი წლითი-წლობით სულ უფრო-და-უფრო უკეთ ცხოვრობს. ამიტომ არის, რომ საბჭოთა მიწა-წყლის ახალგაზრდობა ასე პატრიოტული და სიცოცხლით ალსავსეა, ამიტომ არის, რომ არმიაში თვითეული გაწვევა ჩვენი ახალგაზრდობისათვის — დღესასწაულია!

ჩვენი სამშობლოს ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა მიდის წითელი არმიის რიგების შესავსებად და იმავე დროს გრძელვადიან შვებულებაში მიდიან მეომრები, რომლებმაც დაამთავრეს სამსახურის დაწესებული ვადები. წითელ არმიაში აღზრდილი ახალი კადრები, რომლებმაც მის რიგებში ბოლშევიკური სწავლა მიიღეს, დაუბრუნდებიან მშვიდობიან შრომას. ესენი იქნებიან ჩინებული სტახანოველი მუშები, მომქმედი საკოლმეურნეო ორგანიზატორები, ენერგიული მუშაკები სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ჩვენი გმირული წითელი არმია ზრდის ადამიანებს, აწრთობს ძლიერ, ვაჟკაცურ ხასიათს, იძლევა პოლიტიკურ გამობრძმედას ლენინურ-სტალინური პარტიის დიადი იდეების სულისკვეთებით. ამაშია ჩვენი წითელი არმიის სიმტკიცე, მისი მორალური სილამაზე და ძალა!

ჩვენ დაძაბულ დროში ვცხოვრობთ. ჩვენი საზღვარგარეთელი მტრები ემზადებიან ჩვენზე თავდასასხმელად. მაგრამ ჩვენ დამშვიდებით ვუსწორებთ თვალს საფრთხეს, დარწმუნებულნი ჩვენს ძალასა და მომავალ გამარჯვებაში. ჩვენ ვიცით, რომ თავისი ხალხის უსაზღვროდ ერთგული ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, დარტყმით უპასუხებს ომის გამჩაღებლის დარტყმას და გაანადგურებს მას იმ ტერიტორიაზე, საიდანაც იგი გამოჩნდება. და ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ახალი შევსება თავის სახელოვან უფროს ამხანაგთა ღირსი იქნება.

24 წლის ახალგაზრდა მფრინავმა საბჭოთა კავშირის გმირმა ს. ჩორნიხმა სთქვა: „ჩემი სამშობლო — სიმამაცის, გამბედაობის, რევოლუციური თავგანწირვის სამშობლოა. ასეთი სამშობლოს შვილად ყოფნა იმას ნიშნავს, რომ ჰფლობდე იმ საუკეთესო თვისებებს, რომლებითაც დაჯილდოვებულია ადამიანი".

მამაცი პატრიოტის ეს საუცხოო სიტყვები ანთებულია ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის — ხალხის მამაც შვილთა გულში, რომლებიც მიდიან თავის მშობლიურ წითელ არმიაში გამარჯვებული სოციალიზმის სამშობლოს დასაცავად.

**„პრავდის" მოწინავე, 11/VIII.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ტრამვაის სახელოსნოს სტახანოველი ხარატი ამხ. ს. ქსოვრელი ნორმას 243 პროც. ასრულებს, მუშაობს უწუნოდ.
სურათზე: ამხ. ქსოვრელი მუშაობის დროს.
ფოტო ბუდეშტსკასა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

# მარგანეცის მრეწველობა მესამე ხუთწლედში

მარგანეცის მრეწველობამ მეორე ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შეასრულა. ეს მიღწევები ჰქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ მესამე ხუთწლედისათვის შედგენილ იქნეს მარგანეცის მრეწველობის განვითარების გრანდიოზული გეგმა.

მესამე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს მარგანეცის მრეწველობის სრული რეკონსტრუქცია.

მრეწველობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის მეოხებით თითქმის ერთიორად გადიდდება სასაქონლო პროდუქციის დამზადება.

ნაცვლად 1.650.000 ტონა სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა, რაც 1937 წლის გეგმითაა გათვალისწინებული, მესამე ხუთწლედის უკანასკნელ—1942 წელს უნდა დამზადდეს 2.500.000 ტონა.

რეკონსტრუქციის გეგმა ითვალისწინებს ჩვეულებრივი მარგანეცის დამზადების ერთიორად შემცირებას მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადების გადიდების ხარჯზე.

მარგანეცის დამზადების ასეთი კოლოსალური ზრდა მიღწეულ იქნება მარგანეცის ახალი უბნების ექსპლოატაციის დაწყებით, არსებული მაღაროების გაფართოვებით და მათი რეკონსტრუქციით.

არსებული მაღაროების გაფართოვებასთან ერთად მოეწყობა ორი ახალი მაღარო: დარკვეთის—800.000 ტონა მარგანეცის წლიური წარმადობით და კაროხნალ-შუქრუთის—1.053.000 ტონის წარმადობით. ეს მაღაროები მოეწყობიან ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

მადნის მონგრევა - გამოზიდვა მთლიანად მექანიზებული იქნება. ამხ. ორჯონიკიძის და ბერიას სახელობის მაღაროებში მადნის მონგრევა იწარმოებს ბურღვა-აფეთქებით, ხოლო დანარჩენ მაღაროებში—საჭრელი მანქანებითა და სანგრევი ჩაქუჩებით.

ქარხანა-მაღაროებში კომპლექსური მექანიზაციის გატარებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის საფუძველზე შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 3,52 ტონამდე, ნაცვლად წელს გათვალისწინებულ 2,46 ტონისა.

მარგანეცის კაპიტალურ მშენებლობაზე, ნაცვლად მეორე ხუთწლედში დაბანდებულ 52 მილიონ მანეთისა, მესამე ხუთწლედში დაბანდებული იქნება 110 მილიონი მანეთი. აქედან 54 მილიონი მანეთი დაიხარჯება მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

აშენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, კულტურისა და ტექნიკის სახლი, სამთო ტექნიკუმის შენობა, ახალი საბავშვო ბაღი და ბაგა 400 ბავშვისათვის, გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი, მოეწყობა სამრეცხაო, გაფართოვდება სკოლების ქსელი და სხვ.

1942 წლისათვის მარგანტრესტის ბინებში იცხოვრებს 11.817 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი. თვითეულ მცხოვრებზე, ნაცვლად ძველი გეგმით ნავარაუდევი 5 კვადრ. მეტრი ფართობისა, გათვალისწინებულია 9 კვადრატული მეტრი.

ყველა მაღაროში მოეწყობა საავტომობილო გარაჟი, სახელოსნოები, საავარიო საწყობები და სხვ. მარტო სახელოსნოების მოწყობაზე დაიხარჯება 1.800.000 მანეთი. საავარიო საწყობებსა და ბუნკერებზე — 4 მილიონი მანეთი, გარაჟებზე—ნახევარი მილიონი მანეთი.

მესამე ხუთწლედში დამთავრდება ყველა ქარხანა-მაღაროსთან ფართო საავტომობილო გზების მიყვანა. ქარხანა-მაღაროებს ექნებათ კულტურულად მოწყობილი ტრანსპორტი, რომლის მოწყობაზე გათვალისწინებულია 3,2 მილიონი მანეთი.

ამჟამად არსებული საჰაერო-საბაგირო გზები მესამე ხუთწლედში ვერ უზრუნველჰყოფენ მაღაროებიდან გამოტანილი მარგანეცის რკინიგზის სადგურამდე შეუფერხებლად მიზიდვას. ამიტომ გათვალისწინებულია ახალი საჰაერო საბაგირო გზის მოწყობა ორჯონიკიძის, კაგანოვიჩისა და სტალინის სახელობის მაღაროებში — სიგრძით 8,5 კილომეტრზე, მის მოწყობაზე უნდა დაიხარჯოს 1,3 მილიონი მანეთი.

ჯუღელიდან ჭიათურამდე გაყვანილი იქნება მაღალი ძაბვის ელდენის გადამცემი მეორე ხაზი. ჭიათურაში გათვალისწინებულია მთავარი გადამცემი სადგურის აშენება, ხოლო ყველა მაღაროში—საჭირო სიმძლავრის ქვესადგურებისა. მაღაროების ელექტროენერგიით მომსახურებაზე დაიხარჯება 6,5 მილიონი მანეთი. მთავარი ყურადღება მიექცევა საკომპრესორო მეურნეობის განვითარებას. მესამე ხუთწლედში ამ საქმეზე დაიხარჯება 1.375.000 მანეთი.

მესამე ხუთწლედში ახალი მაღაროების მოწყობა, მათი მაღალი ტექნიკური შეიარაღება და წარმოების საერთო აღმავლობა თვითღირებულების შემცირების დიდ შესაძლებლობას ჰქმნის.

ა. პაქსაშვილი

# საანეულო ხვნის გეგმა იშლება

(ყვარელი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან).

[illegible] ჯგუფი „ამტკიცებს" — გეგმა გვქონდა, მაგრამ ქაღალდებში დაგვეკარგა და ველარ ვიპოვნეთ.

მიწსახკომის გეგმით ყვარლის რაიონში ამ შემოდგომაზე სულ 12.700 ჰექტარი ხორბალი და ქერი უნდა დაითესოს. საანეულო ხვნის დამთავრების აგროტექნიკურ ვადად 15 აგვისტოა დაწესებული, ხოლო საშემოდგომო ხვნა მასობრივად ამავე რიცხვიდან უნდა გაჩაღდეს. თავთავიანი კულტურების აღება აქ 22 ივლისს დამთავრდა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დამთავრებულია ლეწვაც. ტრაქტორები და ცოცხალი გამწევი ძალა თავისუფალია. არსებობს ყოველგვარი საშუალება რომ ხვნის გეგმა ვადაზე და ხარისხოვნად შესრულდეს, მაგრამ მიწგანის გამგე ამხ. გოგიტაშვილი, მტს-ის დირექტორი ამხ. რამიშვილი და რაიონის სოფსაბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები რატომღაც არ ჩქარობენ.

10 აგვისტოსათვის რაიონში ანეულად მხოლოდ 841 ჰექტარი იყო [illegible] აგრეთვე რაიონის თითქმის არცერთ ერთპიროვნულ მეურნეს.

სოფელ შილდის ამხ. კუიბიშევის, კიროვისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში, რომლებიც მოსავლის აღებას და ლეწვას რამდენიმე დღის წინათ მორჩნენ, ცოცხალი გამწევი ძალით ჯერ არა თუ საანეულო ხვნა არ დაუწყიათ, არამედ ისიც კი არ შეუსწავლიათ, თუ რომელი გუთანი და სათესი მოითხოვს რემონტს.

საანეულო ხვნაზე ამჟამად „სტზ-"ის მარკის 24 ტრაქტორია გადაყვანილი, მაგრამ ისინი ძალზე ცუდად მუშაობენ, ხშირად ჩერდებიან, ნორმებს ვერ ასრულებენ და თანაც უხარისხოდ ხნავენ. მაგალითად, შვიდმა ტრაქტორმა 6 აგვისტოს შილდის კოლმეურნეობაში მხოლოდ 3,7 ჰექტარი მოხნა, 7 აგვისტოს—11, რვა აგვისტოს კი—5, ეს მაშინ, როცა „სტზ"-ის მარკის თვითეული ტრაქტორისათვის დღიურ ნორმად 3 ჰექტარია დაწესებული.

[illegible] საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ისინი არ ზრუნავენ იმისათვის, რომ ტრაქტორით სახნავი ნიადაგები გასწმინდონ ნამჯისაგან. ცუდად მოხვნა კი ხშირად სწორედ ამით არის გამოწვეული.

ყვარლის რაიონში უხეშად დაარღვიეს ნაწვერალის აოშვის აგროტექნიკური ვადებიც. წესით ნაწვერალის აოშვა მოსავლის აღებიდან 3-4 დღეში უნდა მოხდეს. აქ კი, მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის აღება 15—20 დღის წინათ და კიდევ უფრო ადრე დამთავრდა, ნაწვერალის აოშვას ჯერაც არ შესდგომიან. კიდევ მეტი: აოშვის გეგმა ზოგიერთ კოლმეურნეობას ახლაც არა აქვს მიღებული.

ასეთი მუშაობით მარცვლეულის მაღალი მოსავალი არ მიიღება. ეს უნდა გაითვალისწინონ ყვარლის რაიონის პარტიული, საბჭოთა და პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

ტ. აცანელი



სოფ. ხადაბლოს (ბორჩალოს რაიონი) კომინტერნის სახ. კოლმეურნეობამ დაამთავრა მარცვლეულის აღება. პირველად გალეწილი ხორბალი ჩაბარდა სახელმწიფოს. სურათზე: კოლმეურნეობაში ხორბლის ლეწვა.
ფოტო კალაშევსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

მარიკა ბარათაშვილი

# სამშობლო ჩემო

მიხარიან, როცა გიმზერ სიკეკლუცით გადმომდგარს,
მსურს ვეხვიო აღმაფრენით შენს მშვენიერ არე-მარეს:
მთებს აქოჩრილს, ველს აქარგულს, მწვანე კორდებს, გიუ ჩანჩქერებს—
თვალწარმტაცი ეგ მშვენება, ვფიქრობ, მუნჯსაც აამღერებს.

და მეც გიმღერ გატაცებით, ჩემო ტკბილო, ჩემო კარგო,
ნეტავ, ნეტავ ეს სიმღერა შენს გულ-მკერდზე ამოვქარგო,
ნეტავ, ნეტავ ეს განცდები დავამძივო მარგალიტად,
შენს ველებზე მოსაბნევად, ილბუზზე ასაზიდად.

რომ იცოდე, ჩემო კარგო, ეგ სამოსი როგორ გშვენის:
ნარინჯების მწვანე კალთა, ელვარება ოქროს მთების,
ცელქი სიოს ანაცრთოლი, ყვავილებით სავსე გული:
მზის სხივებით დაკოცნილი, მზის სხივებით ავსებული.

გაზაფხული თავს დაგხარის, ვარსკვლავეთი შენ გიმღერის...
ირგვლივ გრძნობის ხალისია და ზეიმი შრომის ხმების.
თავდადებით არხევ გულებს, სიყვარულით ანთებ თვალებს,
მითხარ, ვინ არ გიერთგულებს, ან თავს ვინ არ განაცვალებს?

გიმზერ, ვთვრები და ვჩურჩულებ: „ჩემო ტკბილო, ნაზო დედავ!
სამუდამოდ დაივიწყე ძველი ტანჯვა, ცრემლი, სევდა...
ბევრი ახსოვს მწარე განცდა მაგ გულს ბევრჯერ დანასერებს,
ამჩნევია სისხლის ღვარი შენს მიდამოს, ველს და სერებს.

მაგრამ ეს ხომ წინათ იყო... ვინ არ იცნობს დღეს შენს არეს:
ორდენოსან საქართველოს, აყვავებულ ქვეყნის მხარეს;
იძახიან: „ეს ის არის—გენიოსი შოთას დედა,
მტრების ურდო რომ სთელავდა, აოხრებდა და არჩევდა!

მაგრამ შეხეთ! არ მომკვდარა, ლაღია და ფრთაგაშლილი,
არა ერთი გაუზრდია ამ პატარას—დიდი შვილი.
უდიდესი დიდთა შორის დღეს აშენებს ახალ ყოფას,
ჩვენი სტალინ მტკიცე ხელით სჭედავს, სჭედავს დიდ ეპოქას.

# მოუწყობელი სკოლები

(ქუთაისი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან).

წყალტუბოში, ხეივნებსა და ყვავილნარებში ლამაზად ჩამწკრივებულ, იშვიათი გემოვნებით ნაგებ ქვის სახლებს შორის შესაბრალისად გამოიყურება ერთი ფანჯრებჩამტვრეული და უშნოდ დალრეჯილი ხის შენობა. დასძველებია სახურავი და კედლები. იატაკი დამპალი აქვს. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია მეორე ხის სახლი, რომელიც წაქცევაზეა მიმდგარი. ეს სახლები სრული საშუალო სკოლის შენობები გახლავთ. როგორც გამოირკვა, არც მოზრდილთა საშუალო სკოლის შენობაა უკეთეს მდგომარეობაში. ბევრი რამ სჭირდება ამ სკოლების მომზადებას სასწავლო წლისათვის, მაგრამ დღემდე ხელი არავის გაუნძრევია. ხალხის მტრის, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტის, წყალტუბოს სოფსაბჭოს ყოფ. თავმჯდომარის შალამბერიძის „საქმიანობისა" და სკოლის დირექტორების აშკარა უმოქმედობის შედეგად აქ დღემდე არაა დაწყებული სასკოლო შენობების რემონტი. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჩაშლის წინაშეა.

არც ქვედა სიმონეთის სოფსაბჭოში გავლა გაგეხარდებათ. სასკოლო შენობები იქაც ცუდ მდგომარეობაშია. ქვ. სვიმონეთის საბჭოს ყოფ. თავმჯდომარემ ტროცკისტმა დ. ტაბიძემ ჩაშალა სკოლების რემონტი და ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. დღემდე ამ სოფსაბჭოში შემავალ არცერთ სკოლაში არ დაწყებულა რემონტი. ამაში ბრალი სკოლების უქნარა დირექტორებსაც მიუძღვით, რომლებსაც ფაქტიურად არაფერი გაუკეთებიათ. არასრული საშუალო სკოლის დირექტორი დ. ცერცვაძე შვებულებაში წავიდა. საკითხავია, ასეთ პირობებში რად გაუშვა განათლების განყოფილებამ სკოლის დირექტორი შვებულებაში? არც სხვა სკოლებშია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ქუთაისის მე-24 სრულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯინჯოლია) აშკარად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რემონტი. ასეთივე მდგომარეობაა მე-20 არასრულ (დირექტორი ფანჩულიძე) და სხვა სკოლებში. ბარდუბნის საბჭოს თავმჯდომარე გრ. ასათიანი სკოლების რემონტის საქმეში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს.

30 ივლისისათვის რემონტი დამთავრებული ჰქონდათ მხოლოდ ოფშკვითის და გეგუთის სოფსაბჭოებში შემავალ სკოლებს, დერჩის არასრულ საშუალო სკოლას და ქუთაისის მე-8 არასრულ და 1-ლ სრულ საშუალო სკოლებს.

მეტისმეტად ცუდი მდგომარეობაა ახალი სასკოლო შენობების აგების მხრივ. გეგმით უნდა აშენდეს 4 ახალი შენობა, დღემდე არცერთი არაა დამთავრებული.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები, ვიდრე გვიან არ არის.

ევ. გვასალია

# სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კონფერენცია

სამ დღეს გაგრძელდა სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, რომელმაც ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გამოაშკარავდა.

პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ დიდხანს მუშაობდა ხალხის მტერი, ტროცკისტი ვლადიმერ კალანდაძე, რომელიც შეგნებულად ამახინჯებდა პროფკავშირული დემოკრატიის პრინციპებს, უკანონოდ გამოჰქონდა პროფკავშირის ძირეული ორგანიზაციებისაგან წევრთა შორის მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი თანხები და მათ არადანიშნულებისამებრ ხარჯავდა, ახშობდა თვითკრიტიკას, უკანონოდ აჯილდოვებდა თავისიანებს, წინაალმდეგობას უწევდა კომიტეტის მუშაკებს წასულიყვნენ ადგილებზე და ოპერატიული დახმარება გაეწიათ ძირეული რგოლებისათვის.

კალანდაძემ სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კოჯორის საბავშვო სანატორიუმის რემონტზე შარშან 102.000 მანეთი გადახარჯა, ხოლო სანატორიუმისათვის შეძენილი ინვენტარი მიისაკუთრა. ამ მავნებელმა, თითქოს ლიმიტის უქონლობით, მოახერხა შეეჩერებინა კულტურის სასახლის მშენებლობა, მაშინ როდესაც ამ საქმეზე პროფკავშირს საკმაოდ დიდი თანხები აქვს გადადებული.

სამუშაოდან წასვლის შემდეგ კალანდაძემ მოახერხა თავის ადგილზე დაეტოვებინა ამჟამად მხილებული და პარტიის რიგებიდან გაძევებული ტროცკისტი აკაკი მელქაძე... ეს უკანასკნელი განაგრძობდა ტროცკისტ კალანდაძის მიერ დაწყებულ მავნებლურ საქმიანობას, ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ქონების მტაცებლებს, უხეშად ეპყრობოდა კადრებს, აწინაურებდა თავისიანებს და შლიდა პროფკავშირის საწევრო ანარიცხების აკრეფის გეგმას.

გამფლანგველი შ. მელაძე, რომელიც წინათ საქმარაგგასაღების ჯგუფკომში მუშაობდა, კალანდაძემ და მელქაძემ, როგორც „თავისი" კაცი, თბილკვებვაჭრობაში გადაიყვანეს. ამ მავნებლების მიერ გათამამებულმა მელაძემ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან 3.000 მანეთი მიითვისა. მის ადგილზე შემდეგ ვინმე მიქელაძე წამოაყენეს და ამანაც 2.000 მანეთი გაფლანგა. მტაცებლობას და გაფლანგვას ადგილი ჰქონდა პროფკავშირის სხვა ძირეულ ორგანიზაციებშიაც.

ტროცკისტი მავნებლები კალანდაძე და მელქაძე განზრახ აფერხებდნენ სახვაჭრობის მუშაკთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეს. ამჟამად 191 წერა-კითხვის უცოდინარიდან სალიკვიდაციო სკოლებში მხოლოდ 109 კაცი სწავლობს, ხოლო 630 მცირემცოდნიდან — 376.

საქართველოს სახვაჭრობის მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტში უხეშად ამახინჯებდნენ პროფდემოკრატიის პრინციპებს, ც. კ-ის არცერთი მუშაკი არჩეული არ იყო, ისინი არ აბარებდნენ ანგარიშებს პროფკავშირულ მასებს. სახვაჭრობის მუშაკთა აჭარის საოლქო კომიტეტმა სამი თვის განმავლობაში ორი თავმჯდომარე გამოიცვალა ისე, რომ არცერთ მათგანს ანგარიში არ ჩაუბარებია.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს მთელ რიგ პირველადს ორგანიზაციებში გამოაშკარავდა კოოპტირების მრავალი ფაქტი.

სტახანოვურ მოძრაობას არ ეწეოდა ხელმძღვანელობა და დახმარება. უყურადღებოდ იყო მიტოვებული კადრების მომზადების საკითხი.

ტროცკისტი მავნებლები, რომლებიც სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ედგნენ სათავეში, ცდილობდნენ მოედუნებინათ პროფკავშირის წევრთა შორის კლასობრივი სიფხიზლე, არ აბამდნენ მათ პროფპოლიტსკოლებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხალხის მტრები, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტები ძაგანია (თბილმრეწვავაჭრობა), ივანიშვილი (საქმარაგგასაღება), მირზაბეკიანი (თბილკავშირუნივერმაღი), მინასიანი (აფხაზვაჭრობა), მოწყობილი (აჭარსახვაჭრობა), ზარანდია (ცხაკაიას რაიონვაჭრობა), გოგიძე (ფოთი) და სხვები, რომლებიც ამჟამად მხილებული არიან, დიდხანს ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას სავაჭრო ორგანიზაციებში.

კონფერენციამ სასტიკად დაჰგმო გიორგი ჯილაურის (ჯილაური მუშაობდა ც. კ-ის ძირეული კონტროლისა და ხელფასის დარგის ხელმძღვანელად) კონტრრევოლუციური გამოსვლა, იგი შეეცადა დაეცვა ტროცკისტი მოროზი და სხვა უკვე მხილებული მავნებლები. კონფერენციამ ჯილაური გარიცხა კავშირის წევრობიდან, ჩამოართვა მას სადელეგატო მანდატი და გააძევა კონფერენციიდან.

სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობა კონფერენციამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა 31 წევრი.

შ. დონაძე

# კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგები

(ქუთაისი)

სტალინურმა კონსტიტუციამ, რომელმაც მოახდინა მობრუნება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებს მასობრივ - პოლიტიკური და სააგიტაციო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა დაუსახა. კომკავშირის საანგარიშო - საარჩევნო კამპანია ამ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საკ. ალკკ ც. კ-ის მესამე პლენუმის და საქ. ალკკ ც. კ-ის მე-4 პლენუმის დადგენილებების საფუძველზე ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციები მომზადებულად შეხვდნენ კომკავშირული ორგანოების არჩევნებს.

კომკავშირული ორგანოების ანგარიშებისა და არჩევნების ჩატარებისას ქუთაისის რაიონში ფართოდ გაიშალა ბრძოლა კომკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გამოირკვა, რომ კომკავშირის ქუთაისის ორგანიზაციებს საკმაოდ დიდი ჩამორჩენა ჰქონდათ. კომკავშირელთა საგრძნობი ნაწილი ჩაბმული არ იყო პოლიტსწავლებაში. ცუდად მუშაობდა კომკავშირის აქტივის წრე. კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციაში სააგიტაციო-მასობრივი და კულტურული მუშაობა ცუდად იყო დაყენებული. არჩევნებთან დაკავშირებით გადასინჯულ იქნა აქტივის წრე და გაუმჯობესდა მისი მუშაობის ხარისხი, საგრძნობლად გარდაიქმნა სააგიტაციო - მასობრივი და კულტურული მუშაობა.

კომკავშირული ორგანიზაციების ანგარიშებმა და არჩევნებმა მაღალი იდეურ - პოლიტიკური აქტივობისა და რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების ნიშნით ჩაიარა. თუ 1936 წელს კომკავშირის ქალაქკომის მესამე კონფერენციას კომკავშირელთა 93 პროცენტი ესწრებოდა, ახლანდელ საანგარიშო კრებებს 96 პროცენტი დაესწრო, კამათში გამოსულთა რიცხვი წინათ 16 პროცენტს უდრიდა, ახლა 35 პროცენტს აღემატებოდა.

რევოლუციური შემტევი სიფხიზლის გამახვილებისა და კომკავშირელთა აქტივობის გაძლიერების შედეგად ქუთაისის პედინსტიტუტში, აბრეშუმის კომბინატში, მაუდის ფაბრიკაში, წყალტუბოშენში, სოფ. კვახჭირში და სხვაგან გამოვლინებულ და გარიცხულ იქნენ შენიღბული ტროცკისტები და ხალხის სხვა მტრები: გ. სეფერთელაძე, ვ. ლომინაძე, ა. ქირია, ს. ლომინაძე, რ. გაბეჩავა, წოწონავა, კოპლატაძე, ყურაშვილი და სხვ.

მაუდის ფაბრიკაში კომკავშირელებმა მკაცრად გააკრიტიკეს კომკავშირის კომიტეტის მუშაობა და განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ კომიტეტის მდივანი უდარდელობას იჩენდა კომკავშირულ მუშაობაში, რომ აქ პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა შეცვლილი იყო შიშველი ადმინისტრირებით. ამავე კრებაზე აღნიშნეს ფაბრიკის ხელმძღვანელი აპარატის დანაგვიანება პოლიტიკურად საეჭვო და მიუღებელი ელემენტებით. ფაბრიკის ყოფილი დირექტორი ნ. კენჭოშვილი აღმოჩნდა ხალხის მტერი, ბოროტმოქმედებათა მოთავე. კომკავშირის კომიტეტის მდივანი კალანდაძე ულმობრებას იჩენდა კენჭოშვილის წინაამდეგ ბრძოლაში.

ამ ორგანიზაციაში სუსტი იყო პოლიტიკურ - აღმზრდელობითი და საკავშირო მუშაობა, რისთვისაც კრებამ კომიტეტის მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად.

სახანძრო რაზმის კომკავშირის ორგანიზაციაში გამოაშკარავდა, რომ 1936 წლის დეკემბერში მოწყობილი ქვეითი გადარბენა ქუთაისი-თბილისი იყო ყალბი. ფეხით გადარბენის ნაცვლად საკმაო დიდი მანძილი გაუვლიათ მატარებლით და ავტომანქანით. ამ საქმეზე უშედეგოდ დაიხარჯა 15.000 მანეთი. გადარბენის მონაწილენი დაჯილდოვებულ იქნენ დაუმსახურებლად. ქალაქკომმა ამ თვალთმაქცობის წინააღმდეგ მიიღო ზომები.

გეგუთის სრულ საშუალო სკოლაში ამხილეს რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების ფაქტები. აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეებს აღმოაჩნდათ ხალხის მტრების ტროცკისა და სირცოვის სურათები. სკოლის დირექტორი ვაშაყმაძე და კომკავშირის ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი მეფარიშვილი ამ ფაქტს დროზე ვერ გამოეხმაურნენ და მას სათანადო პოლიტიკური შეფასება ვერ მისცეს.

პედინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციამ ფარდა ახადა შენიღბულ ტროცკისტს, კომკავშირის კომიტეტის ყოფილ მდივანს გედეონ სეფერთელაძეს. ამ ორგანიზაციაში უხეშად ირღვეოდა საკ. ალკკ წესდება და შინასაკავშირო დემოკრატია. ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის კრებაზე სეფერთელაძემ კრების სურვილის წინააღმდეგ გარიცხულად გამოაცხადა კომკავშირელები: რატიანი, ბაკურაძე და სირაძე. სეფერთელაძე ორგანიზაციის კრების დაუკითხავად სწყვეტდა კომკავშირის ორგანიზაციაში მიღებისა და კომკავშირელთათვის სასჯელის დადების საკითხებს. შენიღბული ტროცკისტი სეფერთელაძე გაირიცხა პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან და გამოყვანილ იქნა ქალაქკომის პლენუმიდან.

თვითკრიტიკის ჩახშობის, ადმინისტრირების, პოლიტიკური სიბეცისა და რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების უხეში ფაქტები მხილებულ იქნა აგრეთვე ინდუსტრიული ტექნიკუმის კომკავშირის კრებაზე. აქ კომკავშირის კომიტეტის მუშაობა შეფასდა სუსტად და ხელმძღვანელობა შეიცვალა. მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი მეორე სრულ საშუალო სკოლაშიაც. აქ კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი მ. სულაბერიძე, რომელმაც დამალა თავისი მამის შავი წარსული, გაირიცხა კომკავშირის რიგებიდან. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის ორგანიზაციაში ამხილეს ტექნიკუმის დირექტორის ვ. ხანთაძის ყოფაცხოვრებითი გახრწნილება. ხანთაძე მოიხსნა დირექტორობიდან და მისი საქმე გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს. კავშირგაბმულობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის კომკავშირის სიფხიზლის მოდუნების მაჩვენებელია ის, რომ ამ ორგანიზაციამ საქალაქო კონფერენციის დელეგატად აირჩია შენიღბული ტროცკისტი, მავნებელი აბელ ქირია.

მხილებული დეფექტების აღმოსაფხვრელად კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა დასახა საჭირო ღონისძიებანი.

საკ. ალკკ ც. კ-ის მესამე პლენუმისა და საქ. ალკკ ც. კ-ის 9 ივლისის დადგენილების საფუძველზე ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაცია ახლა ატარებს კავშირგარეშე მუშა-ახალგაზრდობის კრებებსა და კონფერენციებს, სადაც ამუშავებს საკითხს: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოების მომავალ არჩევნებში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ".

ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის კომკავშირის ორგანიზაციები ამჟამად ამზადებენ ფიზკულტურულ აღლუმებს.

საანგარიშო კრებებზე განსაკუთრებით აღნიშნავდნენ იმას, რომ კომკავშირის კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ კომკავშირელთა მიღებას პარტიაში. ჭიანურდებოდა რეკომენდაციების მიცემა, საბუთების გაფორმება და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებისა და საქ. ალკკ ც. კ-ის მითითების საფუძველზე უკანასკნელ ხანებში გაშლილი იქნა საგრძნობი მუშაობა. პარტიაში კომკავშირელთა მიღების საკითხზე მოწვეული იქნა ყველა კომიტეტის მდივნების თათბირი, სადაც დამუშავდა ზემოაღნიშნული დადგენილებანი და „პრავდის" მოწინავე წერილი კომკავშირელთა პარტიაში მიზიდვის შესახებ. ფარული კენჭისყრისა და შინასაკავშირო დემოკრატიის გაშლის შედეგად კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში დაწინაურებულ იქნა ახალი, შემოწმებული კადრები. 177 კომკავშირული ორგანიზაციიდან შეცვლილ იქნა პირველადი ორგანიზაციების 80 მდივანი და კომორგი. კომკავშირის კომიტეტების 407 წევრიდან ახლად არის არჩეული 170 წევრი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კომკავშირელ ქალთა დაწინაურებას. თუ წარსული არჩევნებისას კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეული იყო 26 ქალი, ახლა არჩეულია 112. კომკავშირის ორგანიზაციებში საგრძნობლად გაიზარდა პარტიული ბირთვი, წინათ არჩეული იყო 23 კაცი, ამჟამად არჩეულია 57 კაცი.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ იყო განმარტებული საკ. ალკკ ც. კ-ის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებანი და საარჩევნო ინსტრუქცია, ზოგიერთ ორგანიზაციაში ინსტრუქცია მაინც დაამახინჯეს. სახანძრო რაზმის კომკავშირის ორგანიზაციაში პარტკომის მდივანმა შანიძემ და პოლიტხელმა ჯანგავაძემ წინასწარ, კრების დაწყებამდე შეადგინეს კომიტეტში ასარჩევ კანდიდატთა სიები და კანდიდატების დასახელების დროს ფარულად სარგებლობდნენ აღნიშნული სიებით. ქალაქკომმა გააუქმა სახანძრო რაზმში ჩატარებული კრება და არჩევნები ხელმეორედ მოეწყო. მაუდის ფაბრიკაში დამთვლელმა კომისიამ არ დაიცვა მუშაობის წესი. კომისიაში ხმების დათვლის დროს ესწრებოდნენ სხვებიც. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ქალაქკომის წარმომადგენელს. კრებამ გააუქმა დამთვლელი კომისიის მუშაობა. სოფ. კვახჭირის კოლმეურნეობა „რიონჰესთან" არსებულ კომკავშირის ორგანიზაციაში დამთვლელი კომისიის წევრი მელაძე შეეცადა ხმების დათვლის დროს ორგანიზაციის მოტყუებას, მაგრამ ეს შემჩნეული იქნა და არჩევნები ხელმეორედ ჩატარდა.

საკონსერვო ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციამ დროულად ვერ ამხილა მავნებლური მუშაობა, რომელსაც აქ ეწეოდნენ ხალხის მტრები და რომლის შედეგადაც სახელმწიფომ 5 მილიონი მანეთი იზარალა.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსერვო ქარხნის ორგანიზაციაში ცუდად იყო დაყენებული პოლიტსწავლება, საგიტაციო და კულტურულ-მასობრივი მუშაობა, არ იყო გამახვილებული რევოლუციური სიფხიზლე და სხვ., კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივნის ახვლედიანის არასწორი ინფორმაციის შედეგად კომკავშირის კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს სახელოვანი ლენინური კომკავშირის ერთერთ მოწინავე რაზმად ითვლება, მტკიცედაა დარაზმული ჩვენი პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის ირგვლივ. ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაცია ყოველთვის განუხრელად იბრძოდა და მომავალშიც იბრძოლებს იმ ამოცანების ბოლშევიკურად გადაჭრისათვის, რომელთაც ჩვენს წინაშე აყენებს დიდი სტალინი და მისი საუკეთესო მოწაფე ამხ. ლ. ბერია.

### პატარა ფელეტონი

## ციცუნია პეხურის ქალაშია!

ეჰ, გრცხვენიათ, ლესიჭინელო გოგო-ბიჭებო!..

რატომ ერთხელ მაინც არ მოიკითხავთ თქვენს მეგობარს, ფრიადოსან ციცუნიას?

იგი ხომ თქვენთან ერთად ჭრიამულობდა ლესიჭინის*) არასრულ საშუალო სკოლაში. იგი ხომ თქვენი, პირველკლასელობის, სიამაყე იყო ბეჯითობით, ყოფაქცევით!

იგი ხომ თქვენთან ერთად შეჰხაროდა სტალინის მზეს! იგი ხომ თქვენთან ერთად იმეორებდა უკვდავი ლენინის სიტყვებს: „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლაო“!

სად არის ახლა ციცუნია? რატომ არა კითხულობთ? არ გაინტერესებთ მისი ბედი?...

მე მოგიყვებით მის თავგადასავალს და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს პატარა გულებში აღშფოთება დაისადგურებს.

ცხრა თვისა იყო პატარა ციცუნია, როცა იგი იშვილა მოხუცმა თეიმურაზ სიჭინავამ, რომელსაც მემკვიდრე არ გააჩნდა.

თავისი გარჯით და შრომით გამოზარდა იგი თეიმურაზმა და, რვა წლისა რომ შეიქნა, თქვენთან მოიყვანა სკოლაში.

სკოლაში თქვენ გაიცანით მისი ცხოვრება, და მისი თავგადასავალის ეს ნაწილი თქვენ ჩემზე უკეთ იცით. ამას აღარ მოგიყვებით.

იმასაც გაიგებდით, ალბათ, რომ შარშან წელს პატარა ციცუნიას მოამაგე მამობილი მოუკვდა.

სოფლის საბჭომ მცირეწლოვან ციცას მეურვედ პეტრე სიჭინავა დაუნიშნა, მთელი ქონება აღწერით მას ჩააბარა და მოვლა-პატრონობა დააკისრა.

გავიდა რამდენიმე დღე და „მეურვემ“ ციცუნიას ოდა-სახლი ჩალისფასად მიჰყიდა თავის მოყვარეს ირაკლი სიჭინავას, გამოჰკეტა თეიმურაზის ოჯახი და ბავშვი თან წაიყვანა.

პატარა გოგონა გულდაწყვეტილი, თვალცრემლიანი ეთხოვებოდა თავის სახლ-კარს. „მეურვე“ ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წუწკი მელია, თავისთვის იცინოდა და პატარა ციცუნიას ცრემლებს გულთან ახლოს არ იკარებდა.

„მეურვე“ გოგონას სწავლა-აღზრდაზე კი არ ზრუნავდა, იგი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მოეთბო ხელი ობლის ქონებაზე და როგორ მოეშორებინა თავიდან პატარა ციცა.

გავიდა რამდენიმე თვე და ციცუნიას ოჯახში „მეურვის“ სიძე უშანგი ბალათურია გამოიჭიმა.

ქონებასთან ერთად, როგორც იძულებითი ასორტიმენტი, „მეურვემ“ პატარა ციცუნია მიუგდო სიძეს, მაგრამ სიძე არ ჩამორჩა სიმამრს გულქვაობაში და სისაძაგლეში.

მანაც მალე მოიშორა თავიდან პატარა გოგონა. მოძებნა ვილაც მოქალაქე ჩახავა სოფელ ნოქალაქევში*) და ძროხების მწყემსად შესთავაზა თქვენი ფრიადოსანი მეგობარი, თქვენი კისკისა საყვარელი ციცუნია.

„მეურვე“ პეტრე სიჭინავამ და მისმა სიძემ უშანგი ბალათურიამ გაინაწილეს პატარა ციცუნიას ქონება, მოსწყვიტეს იგი სწავლას და ტეხურის პირად ამწყემსინებენ ჩახავას ძროხებს.

— პატარა ვარ და რა ვქნა! ერთი გავიზარდო, და მაგათ ვუჩვენებ სეირს,—ბურტყუნებს პატარა ციცუნია. ჩამოჯდება ხოლმე ჭალის ქვაზე და სტირის.

გგონებთ თქვენ, ენატრებით სულყველანი, ენატრება წიგნი, ენატრება მერხი, ენატრება რვეული, რომელშიაც მის პატარა თითებს საუცხოო ასოებით ჩაუხატავს დიდი ბელადის სახელი.

ახლა კი მას ფუნჩულა ხელში ძროხების სარეკი წკეპლი უჭირავს.

პატარებო, პატარა მეგობრებო, განა შეიძლება ამის მოთმენა!

თქვენ უნდა მოითხოვოთ პატარა ციცუნიას დაბრუნება სკოლაში.

ჩვენ მხარს დაგიჭერთ, ჩვენ თქვენთან ვართ.

საბჭოთა ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში არავინ არ რჩება უსწავლელი, ციცუნია რატომ უნდა დარჩეს?

ჩვენ ჩხოროწყუს ხელისუფალთა დახმარებით ციცუნიას ქონების გამფლანგველებს ვაზღვევინებთ თვითეულ გროშს, გავრეკავთ მათ ციცუნიას სახლ-კარიდან და იქ მივუჩენთ ადგილს, სადაც ბოროტმოქმედნი „განისვენებენ“.

ჩვენ დოყლაპიობისათვის პასუხს მოვთხოვთ ლესიჭინის სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ციცუნიასთვის „მეურვის“ დანიშვნის შემდეგ ერთხელაც არ დაინტერესებულა პატარა გოგოს ბედით. პეტრე სიჭინავა და უშანგი ბალათურია მის თვალწინ სჩადიოდნენ ამ სისაძაგლეს და მას ერთხელაც ხმა არ ამოუღია.

პატარა ციცუნია თქვენთან იქნება სულ ახლო მომავალში.

გერმან შუბიძე.

*) ჩხოროწყუს რაიონში.

*) ცხაკაიას რაიონში.



თბილისი. საბავშვო რკინიგზაზე მოწყობილია ბავშვთა სახანძრო რაზმი, რომელიც სპეციალურად ვარჯიშობს სახანძრო საქმეში. სურათზე: რაზმელი რივა გაბრიელოვა სახანძრო წესებს უხსნის ბავშვებს.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „მამამ დამგოვა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 10 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი ილუშა გორგასლიძე აღნიშნავდა: მამა არც კი მახსოვს. ოთხი წელია ოჯახი მიუტოვებია და სადღაც გადაკარგულა. დედა-ჩემი დაეძებს, მაგრამ ამაოდ. სარჩო არ გვაბადია. ამბობენ, მამა (ბიძინა გორგასლიძე) სადღაც მუშაობს. მეორე ცოლი შეურთავს. სასამართლომ და პროკურატურამ ვერ მოახერხეს მისი მოძებნაო.

რედაქციამ მიიღო ცნობა, რომ ბიძინა გორგასლიძე მუშაობს ზემო სვანეთის სამოკვლევო გეოლოგიურ პარტიაში.

ბიძინა გორგასლიძის მასალები და ზუსტი მისამართი გადაეცა საქ. რესპუბლიკის პროკურატურას ულირსი მამის საწინააღმდეგოდ ზომების მისაღებად.

## კულტურისა და დასვენების პარკი თელავში

თელავი, 14 აგვისტო. თელავის აღმოსავლეთით მდებარეობს ცნობილი მაღლობი „ნადიკვარი“, ბუნებრივად ლამაზი, სადაც ზაფხულის პაპანაქებაშიაც კი საამური გრილი ნიავი ჰქრის ცივ-გომბორის მთებიდან.

ეს მშვენიერი ადგილი მშრომელთათვის წინათ სრულიად უსარგებლო რამ იყო. აქ თავს იყრიდა ძველი თელავის „წარჩინებული“ საზოგადოება: თავადაზნაურები, ჩინოვნიკები და ვაჭარ-მევახშეები და გარყვნილებაში ატარებდნენ დღეებს. მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. თელავის ქალაქის საბჭომ ამ ადგილას კულტურისა და დასვენების პარკი მოაწყო.

7 აგვისტოს მოხდა კულტურისა და დასვენების პარკის გახსნა. გახსნას დაესწრნენ თელავის მშრომელები ორი ათასზე მეტი კაცი. გახსნის პირველ დღეს მოეწყო დიდი კონცერტი. კონცერტში მონაწილეობისათვის თბილისიდან მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ორდენოსანი ლადო კავსაძე, მეხონგურეთა ტრიო ორდენოსანი ფარდიაშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ადგილობრივი ძალები, სარაიონო კლუბთან არსებული მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდი ტ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით.

კულტურისა და დასვენების პარკი საუკეთესოდ არის მოწყობილი. ეს ბუნებრივად ლამაზი ადგილი გაჩირაღდნებულია მრავალფეროვანი ელექტრონათურებით. აქ არის მოწყობილი სხვადასხვა გასართობები: კარუსელი, საცეკვაო მოედანი, ფიზკულტურული იარაღები, ტირი და სხვ. პარკში უკრავს სასულე ორკესტრი.

თელავის მშრომელები „ნადიკვარზე“ კულტურულად ისვენებენ და ატარებენ დროს.



თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო მისაღები გამოცდები. სურათზე: საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელები

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## ალპიური სეზონი

წელს კავკასიონის მთებში გახურებული მუშაობა მიმდინარეობს. საბჭოთა კავშირის თავისუფალმა სპორტულმა საზოგადოებებმა და თვითმოქმედმა ჯგუფებმა ჩაატარეს მთელი რიგი შესანიშნავი ასვლები. მარტო გვანდრის რაიონში „ლოკომოტივის“ მაღალმთიან ბანაკის ნაწილეებმა და ლენინგრადელმა ალპინისტებმა აიღეს თითქმის ყველა მწვერვალი, დაწყებული იალბუზიდან—გლუხორის გადასავლამდე. ევგ. აბალაკოვი, ზარიჩნიაკი, ვასილიევი და ხელი ავიდნენ უშბაზე. მათ მოახდინეს უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. რეგელისა და ნელი კაბაკოვას ჯგუფმა ჩაატარა უშბას ტრავერსი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ს. სლუცკინი და იუხინი ავიდნენ უშბას ჩრდილოეთ მწვერვალზე.

ათეული ჯგუფები გასული არიან მთებში და ადიან უძნელეს მწვერვალებზე. სპორტული საზოგადოების „საბჭოების ფრთების“ ბანაკის მონაწილენი ავიდნენ ნამყვამზე (ჩრდილოეთიდან). ასობით და ათასობით ადიან პირველი კატეგორიის მწვერვალებზე—იალბუზზე, ყაზბეგზე და ჯან-ტუგანზე „საბჭოთა კავშირის ალპინისტის“ ნიშნის მოსაპოვებლად. გამართულია მრავალი მაღალმთიანი ბანაკი, მოწყობილია ინსტრუქტორთა სკოლები. დიდი სკოლა მოაწყო საკავშირო პროფსაბჭომ ადილ-სუში, ალპინიზმის დამსახურებული ოსტატის ვ. აბალაკოვის ხელმძღვანელობით. გამართულია აგრეთვე ე. წ. „ოსტატობის სკოლები“, სადაც ალპინისტები ითვისებენ უმაღლეს ტექნიკას.

ყველა სპორტული საზოგადოება წელს ცდილობდა საკუთარი ბანაკი გაემართა. მარტო ტებერდის რაიონში 10 დიდი ბანაკი მუშაობდა. თვითეულმა მათგანმა რამდენიმე ასეულ ალპინისტს გაუწია მომსახურება.

წელს ათასობით საბჭოთა ახალგაზრდებმა მიიღეს „სსრ კავშირის ალპინისტის“ ნიშანი.

ამ მიღწევათა ფონზე სრულიად არადამაკმაყოფილებელია ის მუშაობა, რომელსაც დღემდე ატარებს საქართველოს ალპიური კლუბი. მართალია დაწყებულია მზადება და ამ დღეებში ჩატარდება ორი დიდი ალპინიადა: ერთი სვანეთში—თეთნულდზე, ერთიც ყაზბეგზე (ორივე ასვლაში სამას-სამასი კაცი მიიღებს მონაწილეობას), მაგრამ ეს სრულებით არ არის საკმარისი. 15 აგვისტოს განზრახული იყო აგრეთვე მთელი რიგი სხვა ჯგუფების გასვლა, მაგრამ დროზე ვერ ხერხდება, რადგან ალპიური კლუბის გამგეობამ ვერ გამოიჩინა სათანადო მოქნილობა და ოპერატიულობა.

საჭიროა მთაში გასულმა ჯგუფებმა გამოიყენონ დარჩენილი დრო და შეასრულონ ის დავალება, რომელიც მათ აქვთ მიცემული. თავის მხრივ კლუბის გამგეობამ უნდა უზრუნველჰყოს ჯგუფების ნაყოფიერი მუშაობა.

მ. ჯავრიშვილი.

## „დამხურდავებელი სალარო“

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის თანამშრომელმა ამხ. მალანიამ საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს გადასცა თავისი გამოგონება—„დამხურდავებელი სალარო“.

წვრილი ფულით გატენილი დამხურდავებელი აპარატი მექანიკურად გადაუთვლის მყიდველს საჭირო ხურდას. ამისათვის მოლარე დააჭერს კლავიატურას ციფრებით 1, 2, 3, 4, 5, 10, 15 და 20 და ფული ღარით უშუალოდ გადადის მყიდველის ხელში.

მექანიზებული სალაროს გამოყენებით აცილებულია მყიდველის ანგარიშში მოტყუების შემთხვევები (საქდესი).

### სასამართლო

## ზურაბიანის მსხვერპლნი

შეხვდა, გაიცნო, დაუახლოვდა და შეაყვარა. ქალსაც მოეწონა ლეონ ზურაბიანი. ინჟინერი კაცია, კარგად ვიცხოვრებთ, — ფიქრობდა ნადეჟდა მურადოვა და ვაჟის ტრფობით ივსოდა.

— რა ბედნიერი ცოლ-ქმარი ვიქნებით, ლეონ! ჩვენს ოჯახს ჩიტის რძეც არ მოაკლდება! — ეტყოდა ქალი და გაულიმებდა საქმროს. დაიწყეს ერთად ცხოვრება, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ქალმა შესჩივლა ზურაბიანს:

— მე უკვე ორსულადა ვარ, ასე არალეგალურად როდემდე უნდა ვიცხოვროთ, ხელი მოვაწეროთ, ლეონ, და ვიყოთ კანონიერი ცოლ-ქმარი.

ეს სიტყვები ზურაბიანს არ ესიამოვნა და გადაჭრით უთხრა:

— ჩემს წინაშე ჯერ ათასი პრობლემაა, ოჯახისათვის სად მცალიან.

ქალს ელდა ეცა. ასეთ პასუხს არ მოელოდა. მურადოვამ რა არ იღონა, მაგრამ ზურაბიანის გული ვერაფერმა მოალბო. ბოლოს ზურაბიანმა ასეთი ულტიმატუმი წაუყენა ქალს:

— რადგან აღარ დაგიშლია, ხელს მოვაწეროთ იმ პირობით, რომ შემდეგ გავშორდეთ, — ქალი დაეთანხმა, აიღეს ქორწინების ქაღალდი, ერთ-ორ დღეს კარგად ცხოვრობდნენ, მესამე დღეს კი ზურაბიანმა გააფრთხილა მურადოვა:

— ნადეჟდა, თუ აბორტი არ გაიკეთე, ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია! სად გვაქვს ახლა ბავშვის შოვლის თავი.

მაშინ აბორტი აკრძალული არ იყო, ზურაბიანმა შედარებით ადვილად დაიყოლია ქალი და აბორტის გასაკეთებლად გაგზავნა.

— ნადეჟდას ახლავე გავცილდები და ალიმენტს აღარ შემომედავებაო, — გადაწყვიტა მან და „მმაჩიდან“ იმავე დღეს განქორწინების ქაღალდი აიღო. აბორტისაგან დასუსტებული ქალი შინ რომ დაბრუნდა, ლოგინზე დაწვა და ქმარს წყალი სთხოვა, მაგრამ გულქვა ზურაბიანმა წყლის ნაცვლად განქორწინების ქაღალდი მიაფარა სახეზე.

— მშვიდობით, ნადეჟდა, როგორც ქმარი მივდივარ, მაგრამ როგორც მეგობარი მუდამ შენთან ვიქნები.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო. ზურაბიანმა თავის დაწესებულებაში გაიცნო ვარვარა ქავჭანიძე. მოეწონა ქალი, ქალსაც მოეწონა და მალე მათ შორის სიყვარულის ძაფი გაიბა, ზურაბიანმა ათასგვარი ხრიკებით დაიმორჩილა ქალი და დაიწყო მასთან ცხოვრება.. ვარვარა უკვე ორსული იყო, როცა ზურაბიანს სთხოვა, ჩემს მშობლებს მოელაპარაკეო ამაზე ზურაბიანი არ დასთანხმდა და ქალს უთხრა:

— უმჯობესია აბორტი გაიკეთო, რომ მშობლების წინაშე თავი არ შეირცხვინო!

მაგრამ აბორტის გაკეთება კანონით უკვე აკრძალული იყო. ამიტომ ზურაბიანმა ვარვარა გააცნო თავის პირველ მსხვერპლს მურადოვას, რომელსაც სთხოვა:

— შენ ექიმებს იცნობ, ეს ჩემი ნათესავი ქალია, შესცდა ვილაც ოხერთან, არ უნდა ძალზე ბავშვი ჰყავდეს, დაეხმარე როგორმე, რომ აბორტი გაიკეთოს.

დატრიალდა მურადოვა. ვარვარა მიიყვანა ექიმ კუჭაიძესთან, რომელმაც ქალს მუცლის მოსაშლელად ქინაქინა და ქვევის რქა გამოუწერა, მაგრამ ქავჭანიძე უკვე ორთვენახევრის ორსული იყო და ვერავითარმა წამალმა ვეღარ გასჭრა. აენთო ზურაბიანი. ისევ დატრიალდა და ექიმი კუჭაიძე აბორტზე დაითანხმა. მაგრამ ეს ვარვარას დამ გაიგო და გააფრთხილა ექიმი, ჩემს დას აბორტი არ გაუკეთო, თორემ ცუდი დღე დაგადგებაო. შეეშინდა კუჭაიძეს და დანიშნულ დღეს ქალს შინ არ დაუხვდა. ჩაიშალა აბორტის გაკეთება. გაგიჟდა ზურაბიანი და ქალს რა არ უწოდა.

გასული წლის 25 ნოემბერს, როცა დაწესებულებაში მარტო ზურაბიანი და ვარვარა იყვნენ, ქალმა რევოლვერით თავი დაიც.

ეს საქმე, კონაკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ამხ. ალ. გაბიჩავამ გამოიძია. პასუხისგებაში მიცემული არიან ზურაბიანი, კუჭაიძე და მურადოვა, რომლებიც ამ დღეებში სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

ქლ. ბიაძე

### ფეხბურთი

## თბილისი—მოსკოვი

დამტკიცებულია „ა“ ჯგუფით საკავშირო პირველობის გათამაშების ახალი ცხრილი, როგორც ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც დღემდე „ბ“ ჯგუფში თამაშობდა, გადაყვანილია „ა“ ჯგუფში.

11 აგვისტოდან პირველობის გათამაშება ახალი ცხრილით სწარმოებს. საზღვარგარეთიდან ახლახან დაბრუნებული მოსკოვის „სპარტაკი“ პირველ შეჯიბრებას ჩაატარებს 17 აგვისტოს. ის მოსკოვში შეხვდება კიევის „დინამოს“.

18 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე თამაშობენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

19 აგვისტოს შედგება ორი მატჩი. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადის გუნდები „კრასნაია ზარია“ და „დინამო“, ხოლო მეორეში — მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „მეტალურგი“.

20 აგვისტოს თბილისის „დინამო“ თამაშობს მოსკოვის „სპარტაკთან“ 21 აგვისტოს წითელი არმიის სახლის გუნდი თავის მოედანზე მიიღებს „კრასნაია ზარიას“.

## ახალი მარკის მოტოციკლები

პოდოლსკის მანქანათმშენებელმა ქარხანამ „გლავშირპოტრების“ თბილისის კანტორას გამოუგზავნა ახალი მარკის მოტოციკლები, რომელთა სიმძლავრე უდრის 15 ცხენძალას. ასეთი მოტოციკლები თბილისში პირველად იქნება მიღებული (საქდესი).

## პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

#### 15 აგვისტო

მუდმივი კაბინეტი — კონსულტაციები თემებზე: 1) გერმანიის ფაშიზმი ომის მთავარი გამჩაღებელია ევროპაში—რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. პაჩინსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 2) ბოლშევიკური აგიტაცია შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში — ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ი. არჩვაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ პროპაგანდისტთა სემინარი 15 აგვისტოს ნაცვლად შესდგება 16 აგვისტოს რაიკომის პარტკაბინეტში, საღამოს 7 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს: 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთები — № 1525507, გაცემული მარტვილის რაიკომის მიერ გასული წლის 7 ივლისს ნიკოლოზ ალექსის-ძე ბაზილაძის სახელზე; № 1525414, გაცემული მარტვილის რაიკომის მიერ გასული წლის 17 ივნისს ირაკლი სპირიდონის-ძე დარცმელიას სახელზე; № 1525548, გაცემული მარტვილის რაიკომის მიერ გასული წლის 13 ივლისს სოლომონ ერასტის-ძე გაბასონიას სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0714665, გაცემული მარტვილის რაიკომის მიერ გასული წლის 9 ივლისს გიორგი ეგნატეს-ძე ხელაიას სახელზე, დაკარგულად და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხარედაქციო კოლეგია

---


| | |
|---|---|
| ოქტომბერი 6-40, 8-40, 10-40 | ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი ქართულ ენაზე **დაკარგული სამოთხე** რეჟისორი — დ. რონდელი ოპერატორი — ბ. ბურავლიოვი საქ. სახკინმრეწვის ნაწარმოები. |
| რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30 | |
| 26 კომუნ. სახელობის საზაფხ. 9, საზამთ. 6-30 | |
| კომინტერნი საზაფხ. 9, 11 | |
| განთიადი 7, 9, 11 | |
| დომკვრული საზაფხ. შენ. 9-15, 11. საზამთ. შენ. 7, 9, 11. | საზაფხ. შენ. დაკარგული სამოთხე ქართულ ენაზე / საზამთ. შენ. ჩვენ კრონშტადტიდან ვართ |
| კომკავშირელი | საზაფხ. შენ. 9, 11 დაკარგული სამოთხე ქართულ ენაზე / საზამთ. შენ. 7, 9, 11. ხმოვანი ფილმი ცირკი |
| არსენა 7, 8-40, 10-20 | დაკარგული სამოთხე ქართულ ენაზე |
| ახალი ამბები | კინო ჟურნალები № 32, საბჭოთა ხელოვნება № 5. ფალომოვების ოჯახი |

დღეს საკინოთეატრებში

**საქ. მინსახკომის თბილისის საგზაო-ტოპოგრაფიული ტექნიკუმი**

ამით აცხადებს, რომ ტექნიკუმში ჩარიცხვის შესახებ შორეული რაიონებიდან მრავალი შეკითხვის შემოსვლის გამო განცხადებების მიღება გაგრძელებულია 20 აგვისტომდის, ათწლედ და მუშფაკდამთავრებულთათვის კი 28 აგვისტომდის (უგამოცდოდ).

337 დირექტორი გელაშვილი.

**თბილკომუნმომარაგების მიერ**

ზალვა აბესალომის-ძე კიკნაძის სახელზე ა. წ. 4 იანვარს გაცემული მინდობილობა № 4/15

**ჩაითვალოს გაუქმებულად.**

17307 თბილკომუნმომარაგება.

**თბილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი**

აცხადებს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრება საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით გაუქმებულია (იხ. 16 ივლისის „ახ. კომუნისტი“).

**ამის გამო საანგარიშო-საარჩევნო კრება**

შესდგება 2 სექტემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში.

**დღის წესრიგი:**

1. თბილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ანგარიში (მომხს. ვ. ჩიჩუავა).

2. ა. ლ. კ. კ. კომიტეტის წევრთა და ორჯონიკიძის რაიონის კ. კ. კონფერენციისათვის დელეგატების არჩევნები.

თ. ს. უ. ა. ლ. კ. კ. კომიტეტი აფრთხილებს აღნიშნული ორგანიზაციის ყველა წევრ-კანდიდატებს, რომ აუცილებლად გამოცხადდნენ ა. ლ. კ. კ. კომიტეტში ა. წ. 29 აგვისტოს რეგისტრაციისათვის.

საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომიტეტი.

1650

**ქუთაისის პედინსტიტუტის დ/სექტორში მიღების პირობები 1937/38 სასწავლო წლისათვის**

**მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:**

ა) ენისა და ლიტერატურის—რუსულსა და ქართულ სექციებზე, ბ) ისტორიულზე, გ) მათემატიკურზე, დ) საბუნებისმეტყველოსა და ე) გეოგრაფიულზე.

1. ინსტიტუტში უგამოცდოდ მიიღებიან დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლის მასწავლებლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო და მასთან გათანაბრებული სასწავლებელი.

2. უგამოცდოდ მიიღებიან აგრეთვე ფრიადოსნები, საშუალო სკოლის ან საექსტერნო წესით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და უმაღლესი განათლების მქონე პირები.

3. შემსვლელნი (გარდა ზემოაღნიშნულთა) აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) რუსულ ენაში, ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გ) მათემატიკაში, დ) ქიმიაში, ე) ფიზიკაში, ვ) პოლიტცოდნაში და ზ) ერთერთ უცხო ენაში შემსვლელის არჩევით.

ისტორიულ, ლიტერატურულ და გეოგრაფიულ ფაკულტეტებზე შემსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდებს ისტორიასა და გეოგრაფიაში.

4. მისაღები გამოცდები იწარმოებს საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

5. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 19-დან 45 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა, ტექნიკუმი ან აქვთ მოწმობა საშუალო განათლების მიღების შესახებ (საექსტერნო გამოცდები).

ქუთაისის პედინსტიტუტის დ/სექტორში შემსვლელთ შემოაქვთ განცხადება ინსტიტუტის დ/სექტორის გამგის სახელზე (ქუთაისი, კიროვის ქუჩა № 101) შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ატესტატი, ბ) ცნობა სამუშაო ადგილიდან იმის შესახებ, თუ რა თანამდებობა უჭირავს განმცხადებელს, გ) სამი ფოტოგრაფიული სურათი, გადაღებული უქუდოდ, პირადი ხელისმოწერით და სახელმწიფო დაწესებულების მიერ დადასტურებული, დ) ავტობიოგრაფია, ე) მეტრიკული ამონაწერი.

განცხადებების მიღება 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე, გამოცდები იწარმოებს 10 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე, სწავლა დაიწყება 1 ნოემბრიდან.

ქუთაისის პედინსტიტუტის დირექტორი პროფ. დ. დოლიძე

40 დ/სექტორის გამგე დ. ჩხეიძე.

**თბილისის აფთიაქთა სამმართველო**

ქვემოჩამოთვლილ საცალო წერტებში ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან ღებულობს

**ბორჯომის ცალიერ ბოთლებს**

ჩაბარებული ბოთლები უნდა იყოს სუფთა, გაუტეხავ-გაუბზარავი.

**საცალო წერტების მისამართი:**

1. მაღაზია — რუსთაველის პროსპ., 12
2. ფარდული — ლენინისა და მოსკოვის ქუჩების კუთხე.
3. „ — ლენინისა და ბელინსკის ქუჩების კუთხე.
4. „ — წყნეთისა და ვარდისუბნის ქუჩების კუთხე.
5. „ — კახეთის მოედანი.
6. „ — კიროვის ქუჩა.
7. „ — მუხრანის ხიდის ყურე.

1646 2—2


**საქ. სარეწაო კავშირის სამმართველოს სისტემაში შემავალ არტელ „ფარმქიმის“ დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის.**

| №№ რიგ. | აქტივი — ანგარიშების დასახელება | ჯამი | №№ რიგ. | პასივი — ანგარიშების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 7.972—40 | 1 | ფონდები | 23.589—85 |
| 2 | ნედლეული და მასალები | 22.273—02 | 2 | მიზნობრივი რეზერვები | 3.939—20 |
| 3 | სარეწსისტემის პროდუქცია და საქონელი | 34.505—77 | 3 | გრძელვადიანი სესხი | 26.805—00 |
| 4 | გადაგზავნილი საქონელი და შესრულ. სამუშ. | 60.820—72 | 4 | მოკლევადიანი | 10.000—00 |
| 5 | ფულადი საშუალებანი | 2.678—46 | 5 | ანგარიშსწორებანი | 33.142—32 |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 4.678—76 | 6 | დაგროვება | 56.058—27 |
| 7 | მომავალი დროის ხარჯები | 930—00 | | | |
| 8 | განყენებული საშუალებანი | 19.675—51 | | | |
| | ბალანსი | 153.534—64 | | ბალანსი | 153.534—64 |

**1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ხარჯები და ზარალი სხვადასხვა | 5.510—20 | 1. შემოსავალი პროდუქც. რეალიზაციიდან | 60.389—73 |
| 2. წმინდა დაგროვება წლისა | 56.058—27 | 2. სხვადასხვა შემოსავალი | 1.178—74 |
| ბალანსი | 61.568—47 | ბალანსი | 61.568—47 |

ბალანსი დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ.

არტელის თავმჯდომარე ბ. ლეჟავა. მთ. ბუღჰალტერი ა. კორძაძე. 1176

**საქართველოს კოოპინკავშირის სისტემაში შემავალ არტელ „პოლიტკატორღელის“ დასკვნითი ბალანსი 1937 წ. 1 იანვრისათვის.**

| №№ რიგ. | აქტივი — ანგარიშების დასახელება | ჯამი | №№ რიგ. | პასივი — ანგარიშების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 173.688—70 | 1 | ფონდები სხვადასხვა | 413.476—03 |
| 2 | მარაგი ნედლეული და ძირითადი მასალ. | 75.116—20 | 2 | მოკლევადიანი დაკრედიტება | 19.895—00 |
| 3 | ნახევარფაბრიკატი | 23.326—79 | 3 | ანგარიშსწორებანი | 41.174—48 |
| 4 | საქონელი და მზა ნაწარმი | 121.216—62 | 4 | საანგარიშო წლის დაგროვება | 58.945—19 |
| 5 | საქონელი გადაგზავნილი | 47.007—74 | | | |
| 6 | ფულადი საშუალებანი | 128—23 | | | |
| 7 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 72.218—09 | | | |
| 8 | მომავალი დროის ხარჯები | 1.116—88 | | | |
| 9 | განყენებული საშუალებანი | 19.671—45 | | | |
| | ბალანსი | 533.490—70 | | ბალანსი | 533.490—70 |
| | | | | ძირითადი ქონების გაცვეთა | 29.480—00 |

**1936 წლის დაგროვების და დანაკარგების ანგარიში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. წარსული წლების დანაკარგები | 875—76 | 1. საკუთარი წარმოების მზანაკეთობის რეალიზაციიდან | 50.062—84 |
| 2. სხვადასხვა ხარჯები და ზარალი | 24.645—33 | 2. სხვადასხვა შემოსავალი | 34.403—44 |
| 2. საანგარიშო წლის დაგროვება | 58.945—19 | | |
| ბალანსი | 84.466—28 | ბალანსი | 84.466—28 |

დამტკიცებულია საქკოოპინკავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წლ. 25 იანვარს.

გამგეობის თავმჯდომარე ნატროშვილი. მთავ. ბუღჰალტერი ა. ლუტიძე. 1634

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: სამდივნოსი: 3—36—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 98, მთავლიტის რწმუნებული ბ—8287